გაზეთი ბოდბისა, „ბოლნისი" ერთი

ბოლნისი

ფასი 50 თეთრი

№128 (1023) 24 – 25 დეკემბერი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

ბენზინი კიდევ გაიაფდება

გვ. 5

რუსეთის ახალი პროვოკაცია

„შესაძლოა, ბევრი ოცნებობს, მაგრამ ქართველებს აფხაზეთიდან სრულად ვერ გამოყრიან, სავარაუდოდ, მათი სტატუსი შეიცვლება. კერძოდ, ქართველებს აფხაზური პასპორტების მიღებას აიძულებენ, რითაც საქართველოსთან ყოველგვარი იურიდიული ურთიერთობის გაწყვეტას შეეცდებიან"

„აფხაზეთის ომში მონაწილეობისთვის ქართველების დაკავება აფხაზეთში ახალი ტენდენციაა... აფხაზეთში მცხოვრები ქართველებისთვის ვითარება უფრო დამძიმდება. აფხაზეთიდან ქართველების გამოსახლება დაიწყება და დევნილების ახალ ტალღას უნდა ველოდეთ... ეს ნიშნავს, რომ აფხაზეთი დანარჩენი საქართველოსთვის აბსოლუტურად ჩაიკეტება..."

„დაკავებულების ადგილსამყოფელს ვადგენთ. რამდენიმე დღეში სრული ინფორმაცია გვექნება. აფხაზურ მხარესთან მოლაპარაკებებს საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით ვაწარმოებთ. იმედია, მათ გაათავისუფლებენ. დაკავებულები არანაირი სამხედრო დაჯგუფების წევრები არ არიან"

ექსკლუზივი გვ. 3

გალში დაკავებული ქართველების სია

კაზრეთელმა მუშებმა აქცია გამართეს

გვ. 2

მანდატურის სამსახური – სკოლებში უსაფრთხოების გარანტი

როგორ შეიცვალა მანდატურის ფუნქციები და რატომ შემცირდა სამართალდარღვევები

გვ. 9

„მარნეულის სასურსათო ქარხნის მთავარი მიზანი იმპორტირებული პროდუქციის ჩანაცვლებაა"

გვ. 8

„უკრაინის ომი სხვისი ომია და არ უნდა ჩავერიოთ"

ეკონომიკური ანალიტიკოსი ნარჩემაშვილი სვანდაღურ შეფასებებს აკეთებს და დეპუტატობისთვის ემზადება

გვ. 4

ლიბერთი ბანკმა სოციალური მომსახურების სააგენტოსთან ახალი ხელშეკრულება გააფორმა

გვ. 4

ლიბერთი ბანკი LIBERTY BANK

მღვდელი, რომელიც პატიმრებს აღსარებაში 50 ლარს ართმევს

გვ. 6

პატიმრის ცხოვრები

კაზრეთელმა მუშებმა ფართომასშტაბიანი აქცია გამართეს

გიორგი იაშვილი

საყდრისის საბადოს მიმდებარე ტერიტორიის აფეთქებას რა რეზონანსი მოჰყვა, მოგეხსენებათ. მისმა დამცველებმა რამდენიმე აქცია გამართეს და ფირმა „არ ემ ჯი გოლდს“ სახელმწიფო დანაშაულშიც კი დასდეს ბრალი. 23 დეკემბერს კი მედლის მეორე მხარე გამოჩნდა. მხარე, რომელიც აქამდე ჩუმად იყო და მოვლენების განვითარებას ელოდა. კაზრეთელმა მუშებმა, 1000-ზე მეტმა ადამიანმა აქცია გამართა და განაცხადა, რომ მათი უმუშევრად დარჩენის შემთხვევაში, შიმშილის ზღვარზე ათასობით ოჯახი რჩება. აქციის მონაწილენი ჯერ პრეზიდენტის სასახლესთან მივიდნენ, მაგრამ რადგან გიორგი მარგველაშვილმა მათთან საუბარი არ ისურვა, კანცელარიასთან გადაინაცვლეს. აქ უკვე აქციის მონაწილეებს კანცელარიის ადმინისტრაციის უფროსი, **მაია ცქიტიშვილი** შეხვდა და განუცხადა: **„ამ საკითხს უფრო დეტალურად გავეცნობით. ამ ეტაპზე ადგილობრივი მოსახლეობა კომპანიისთვის სამუშაოების წარმოების უფლების გახანგრძლივებას ითხოვს, რაც მთავრობის გადასაწყვეტია. მთავრობა ამ თემაზე იმსჯელებს და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე. ჩვენ სრული პასუხისმგებლობით ვეკიდებით ყველა იმ მხარის პოზიციას, რომელიც ამ საკითხის გარშემო მსჯელობს მთელი ამ პერიოდის განმავლობაში“.**

მოკლედ, აქციის მონაწილეებს დახმარება კი აღუთქვეს, თუმცა ყველაფერი ასე მარტივად არ არის. საყდრისის ე.წ. მცველთა უკან, როგორც ამბობენ, დეპუტატი კობა ნაყოფია დგას, კაცი, რომლის სახელთანაც ასოცირდებოდა აღნიშნული საბადო და როგორც ამბობენ, სწორედ ეს საბადო იყო წინა ხელისუფლების შემოსავლის ერთ-ერთი მთავარი არალეგალური წყარო. ამ საბადოს მეშვეობით დაფინანსდა „აგვისტოს ხუთი დღე“, რაც ჯამში 15 მილიონ დოლარზე მეტი დაჯდა და ლოგიკურია, რომ ნაყოფიას ყოფილი საკუთრება არ ეთმობა.

მართალია, თავად ნაყოფია კატეგორიულ უარზეა და აცხადებს, რომ საყდრისის მცველებთან მხოლოდ კონსულტაციებს გადის, მაგრამ იმას, რომ ფინანსები მოდიოდა, არავინ უარყოფს. **„დაფინანსება იყო. გვაფინანსებდნენ როგორც არასამთავრობო ორგანიზაციები, ისე უცხოელები. იყო შემოწირულობებიც. რაც შეეხება ნაყოფიას, მასთან აქტიური კონსულტაციები მიმდინარეობდა“,** — აცხადებენ საყდრისის მცველები.

პრინციპში, რაღა მცველები, „საყდრისის დაცვის კომიტეტის წევრები“ პატრიოტთა ალიანსმა ჩაანაცვლა და ყველაფერი პოლიტიკურ ჭრილში გადაიყვანა. ამის შემდეგ მცველებსა და პოლიტიკოსებს შორის დაპირისპირება დაიწყო, უცხოელები ამ ამბავს გაერიდნენ და ყველაფერი იმით დასრულდა, რომ „არ ემ ჯი გოლდმა“ სამუშაოები განაახლა, რასაც პროტესტის ახალი ტალღა მოჰყვა.

„მოვითხოვ, დეტალურად გამოიკვლიონ ყოფილი „მადნეულის“, „კვარციტისა“ და „ზარაფხანის“ პრივატიზაციის კანონიერება და ამ მოვლენებში, ბოლნისის მაჟორიტარი დეპუტატის, კობა ნაყოფიას ჩართულობა. ეს არის ადამიანი, რომელსაც მილიარდები აქვს დაგროვილი სახელმწიფოს ხარჯზე. იმის ნაცვლად, სახელმწიფოს აქამდე მოეთხოვა პასუხი ადამიანებისთვის, რომლებიც მოკალათებულნი არიან ქართული ოქროს ბიზნესში, აქეთ შემოატრიალეს ყველაფერი და გადმოსულები არიან შეტევაზე. ავანგარდში, როგორც ყოველთვის, კობა ნაყოფიაა. ვიცი, რომ ამ ყველაფრის უკან დანაშაული დგას, მაგრამ საგამოძიებო ორგანო არ ვარ. გამოკვლეული უნდა იყოს ობიექტების „არ ემ ჯი კოპერის“, „არ ემ ჯი გოლდის“ ანუ ყოფილი „მადნეულის“, ყოფილი „კვარციტის“, თბილისის საიუველირო ქარხნის, იგივე ეროვნული ზარაფხანის პრივატიზების კანონიერება და მასთან დაკავშირებული ყველა პროცესი და ყველაფერ ამაში კობა ნაყოფიას ჩართულობის ხარისხი“, — ეს განცხადება პარლამენტარმა **დავით ლორთქიფანიძემ** გააკეთა.

რა გამოდის? საკუთარი კოლეგის უდანაშაულობაში დარწმუნებული არც ლორთქიფანიძეა. ამასთან ერთად, გუშინდელი აქციის მონაწილეებს მხარდაჭერას უცხადებს ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოგი მეშველიანი. უფრო ზუსტად კი, მეშველიანი პრაგმატულად ფიქრობს და რეგიონის განვითარებისთვის „არ ემ ჯი გოლდის“ მუშაობის გაგრძელების აუცილებლობაზე საუბრობს. მეშველიანი საკუთარ განცხადებას ციფრებში ასაბუთებს.

„კომპანიის მუშებს ჰქონდათ გამაფრთხილებელი აქცია, ისინი აქციების გამართვას მომავალშიც აპირებენ. კომპანია „არემჯი“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთავარი გადამხდელია, ბიუჯეტის 85%-ზე მეტი არის ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი, რომელსაც ეს კომპანია იხდის. მისი მუშაობის ნებისმიერი შეფერხება ჩვენს ბიუჯეტზეც აისახება – კომპანია წელიწადში 10 მილიონამდე ლარს მოსაკრებლის სახით იხდის ადგილობრივ ბიუჯეტში. უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ დაახლოებით 3000-მდე ადამიანი დარჩება შემოსავლის გარეშე. აქ ძალიან ბევრი ვიწრო სპეციალობის ადამიანია, რომლის საქმიანობაც მთლიანად დაკავშირებულია ამ საწარმოსთან, მათთვის ალტერნატივის მოძებნა შეუძლებელია. დაბა კაზრეთი მხოლოდ ერთი მიზნით აშენდა, რომ მაცხოვრებლებს ემუშავათ მაშინდელ სამთო მადნეულის კომბინატში. ჩვენს რეგიონში ალტერნატიული სამსახურის მოძებნა პრაქტიკულად შეუძლებელია. ამ ადამიანებს უნდა ჰქონდეთ დასაქმების საშუალება, კომპანია თუ სამუშაოებს არ გააგრძელებს ეს შეუძლებელია. სამუშაოების შემცირება, როგორც დაბა კაზრეთში ასევე მთლიანად ბოლნისის მუნიციპალიტეტში, ძალიან მძიმე ეკონომიკურ პრობლემებს გამოიწვევს“, – აცხადებს **გოგი მეშველიანი**.

ფაქტია, პრობლემა არსებობს და ახლა ხელისუფლებაზეა დამოკიდებული, ერთი ადამიანის ინტერესებს გაითვალისწინებს თუ ათასობით ოჯახის.

ვერსიანიუსი

შს სამინისტრო საქველმოქმედო აქციებს ონის და ამბროლაურის რაიონში განაგრძობს

შინაგან საქმეთა მინისტრ ალექსანდრე ჭიკაიძის ინიციატივით დაწყებული საქველმოქმედო აქცია გრძელდება.

ამჯერად შსს-ს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის, სასაზღვრო პოლიციის, კონტრდაზვერვის დეპარტამენტის, მიგრაციის დეპარტამენტის, ანტიკორუფციული სააგენტოს, საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს, ადამიანის უფლებათა დაცვის და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს წარმომადგენლები ონის და ამბროლაურის რაიონებს ეწვივნენ. მათ ადგილობრივ მოსახლეობას, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ 140-მდე ოჯახს საკვები პროდუქტები გადასცეს.

შს სამინისტრო საქველმოქმედო აქციას დეკემბრის ბოლომდე გააგრძელებს და საქართველოს რამდენიმე მაღალმთიან რეგიონს მოიცავს. სამინისტრო სულ 500-მდე ოჯახს დაეხმარება. საქველმოქმედო აქცია საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ორგანიზებით ხორციელდება და მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები სიღარიბის ზღვარს მიღმა ოჯახების საკვები პროდუქტებით დახმარებას გულისხმობს.

„ვერსიანიუსი“

რიგითი ნიკოლოზ უგულავა სამხედრო ნაწილში გარდაცვლილი იპოვეს

როგორც თავდაცვის სამინისტროს განცხადებაშია ნათქვამი, მას ჭრილობა თავის არეში აქვს მიყენებული, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით აღიძრა: **„საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს წვევამდელი ნიკოლოზ ჟორესის ძე უგულავას დაღუპვის გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს. რიგითი ნიკოლოზ უგულავა სამხედრო ნაწილში ათმეთაურმა საგუშაგოზე გარდაცვლილი იპოვა. მას ჭრილობა თავის არეში ჰქონდა მიყენებული. გამოძიება დაწყებულია. საქმე აღძრულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით — თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე. მომხდართან დაკავშირებით გამოძიებას საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო სამმართველო, მთავარი პროკურატურის ზედამხედველობით, აწარმოებს“.**

1994 წელს დაბადებული ნიკოლოზ უგულავა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში 2014 წლის 4 ოქტომბრიდან ირიცხებოდა. იგი საქართველოს შეიარაღებული ძალების სპეციალური ოპერაციების ძალების მხარდამჭერი ბატალიონის დაცვის ასეულში სავალდებულო სამხედრო სამსახურს იხდიდა.

თავდაცვის სამინისტრო სრულად დაფარავს წვევამდელის დაკრძალვასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

„პირველი“

აფხაზეთიდან ქართველების გამოსახლება დაიწყება?!

რუსუდან შელია
557-100-768

1992-93 წლის ომში მონაწილეობისთვის გალში საქართველოს რვა მოქალაქე დააკავეს. ინფორმაცია ამის შესახებ პირველად აფხაზურ გამოცემაში Нужная газета გავრცელდა. ითქვა, რომ გალის რაიონის ე.წ ძალოვანმა სტრუქტურებმა ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიების ჩატარებისას ის პირები დააკავეს, ვინც, 1992-1993 წლებში აფხაზეთის წინააღმდეგ საომარ მოქმედებებში მონაწილეობდნენ და თურმე ისინი დღესაც უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებსა და დივერსიულ ჯგუფებთან ერთად მოქმედებენ. მეტიც, როგორც გამოცემა ამტკიცებს, დაკავებულთაგან ერთ-ერთმა, ომარ აბშილავამ ბრალდება დაადასტურა და 1992-93 წლებში საომარ მოქმედებებში მონაწილეობა აღიარა. ქართულმა მხარემ აფხაზურ მხარესთან მოლაპარაკებები ინფორმაციის გავრცელებისთანავე დაიწყო, თუმცა ჯერჯერობით, დაკავებულების გათავისუფლება მხოლოდ აფხაზური მხარის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. „ვერსიისთვის“ ცნობილი გახდა, რომ 20 დეკემბერს გალში, ომარ აბშილავა, გურამ ბუთბაია, სერგო კიკალია, კობა გვაძაბია, მერაბ ხარგელია და ზაურ ცხადაია დააკავეს. მოლაპარაკებებში შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სამინისტროსთან ერთად, შინაგან საქმეთა სამინისტროც ჩართულია.

როგორც „ვერსიასთან“ საუბრისას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორი **შალვა ენუქიძე** აღნიშნავს, აფხაზურმა მხარემ ჯერ შვიდი ადამიანი, მოგვიანებით კი, ერთი პიროვნება დააკავა, რომელთა წევრობა დღეს შეიარაღებულ დაჯგუფებაში არ დასტურდება: **„ამ ეტაპზე, დაკავებულების ადგილსამყოფელს ვადგენთ. სავარაუდოდ, რამდენიმე დღეში სრული ინფრომაცია გვექნება. შეფერხება იმითაა გამოწვეული, რომ ცხინვალის რეგიონთან შედარებით, ცხელი ხაზი, აფხაზეთში უფრო ცუდად მუშაობს. აფხაზურ მხარესთან მოლაპარაკებებს საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით ვაწარმოებთ. იმედი ყოველთვის არსებობს, რომ ამ ადამიანებს გაათავისუფლებენ. მოლაპარაკებებს, როგორც წესი, თავისი შედეგი გამოაქვს. დაკავებულები წლებია ჩვეულებრივ ცხოვრობენ და იარაღი არ უნახავთ. შესაძლოა, ზოგს არც ჭერია ხელში იარაღი და მით უმეტეს, არანაირი სამხედრო დაჯგუფების წევრები არ არიან. დაველოდოთ მოლაპარაკების შედეგებს. რაც შეეხება დაკავების რეალურ მიზეზებს, ევროინტეგრაციის კუთხით გადადგმულ თითოეულ ნაბიჯს მტკივნეულად აღიქვამენ, რასაც მოსდევს კონფლიქტური რეგიონებიდან ასეთი რეაქციები. ამ ფონზე მსგავსი ქმედება, გასაგებია, ვისი დაკვეთაცაა“.**

რვა დაკავებულის შეიარაღებულ დაჯგუფებაში მონაწილეობის შესახებ კონკრეტულ ინფორმაციას აფხაზეთშიც არ ავრცელებენ. „ევროპელი დემოკრატების“ ლიდერი **პაატა დავითაია** გალში რვა ქართველის დაკავებას მორიგ პროვოკაციას უკავშირებს და აცხადებს, რომ გაზაფხულისთვის, აფხაზები ქართველების გამოსახლებისთვის ემზადებიან: **„ხაჯიმბას არჩევის შემდეგ, განსაკუთრებით გალის მოსახლეობა, რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. რვა ქართველის დაკავებამდე, დე ფაქტო ხელისუფლებამ განაცხადა, ქართველებმა აფხაზური პასპორტები უკანონოდ აიღესო და ამ მიზეზით, ათასობით ადამიანს პასპორტი წაართვეს. მოგვიანებით, აფხაზეთში მცხოვრებ ქართველებს საკითხი შემდეგნაირად დაუსვეს — ან აქ იყავით, ან საქართველოს ტერიტორიაზე გადადითო. აფხაზეთის ომში მონაწილეობისთვის ქართველების დაკავება აფხაზეთში ახალი ტენდენციაა. როგორც ვიცი, 1992-93 წლებში, გალის ბატალიონი მართლაც არსებობდა, მაგრამ ისინი აფხაზეთის ომში არც წინა ხაზზე იბრძოდნენ და არც ტყვარჩელის მიმართულებით. გალში რადიკალურ ბრძოლებში მონაწილე მხოლოდ ერთი სამხედრო დაჯგუფება არსებობდა, რომელსაც დათო შენგელია ხელმძღვანელობდა და ისიც სოხუმის დაცემის შემდეგ შეიქმნა. ის „ტყის ძმების“ მეთაური იყო და აფხაზებს პრობლემებს რეალურად უქმნიდა, მაგრამ, როგორც გითხარით, ეს 1992 წლებში არ ხდებოდა. ასე რომ, დღეს რვა ქართველის ამ ბრალდებით დაკავება თითიდან გამოწოვილი მიზეზია. თუ არაფერი შეიცვალა, ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად, მათ სავარაუდოდ, 8-10 წლით პატიმრობა ემუქრებათ... ეს ქართველების წინააღმდეგ აგორებული ტალღის თანმდევი ელემენტია. გალში ახალი გამგებელი დაინიშნა, რომელიც ქართველების მიმართ აგრესიულადაა განწყობილი. ცოტა ხნის წინ, ის საკომენდანტო საათის გამოცხადების იდეითაც გამოვიდა. არ დაგავიწყდეთ ხაჯიმბას განცხადებაც ენგურჰესთან დაკავშირებით. ყველაფერი იმაზე მიანიშნებს, რომ აფხაზეთში მცხოვრები ქართველებისთვის ვითარება კიდევ უფრო დამძიმდება. აფხაზეთიდან ქართველების გამოსახლება დაიწყება, დევნილების ახალ ტალღას უნდა ველოდეთ“.** პაატა დავითაიას განცხადებით, ერთადერთი ბერკეტი, რაც ამჟამად საქართველოს ხელისუფლებას გააჩნია აფხაზებისთვის ალტერნატივის შეთავაზებაა. მითუმეტეს, იმ საგარეო წარმატებების ფონზე, რასაც საქართველომ ბოლო წლების განმავლობაში მიაღწია. პაატა დავითაიას განცხადებით, საქართველოს ხელისუფლებაში ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში ერთიანი ხედვის ჩამოყალიბება ვერ მოხერხდა: **„საქართველოსთვის ევროპაში უვიზო რეჟიმის შეთავაზება ამ პირობებში მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ, რათა აფხაზებს ალტერნატივა შევთავაზოთ. ამ კუთხით კონცეფციის შემუშავებაა აუცილებელი, რადგან დღეს რაც ხდება, არაეფექტურია. საქართველოს მთავრობას ოკუპირებულ ტერიტორიებთან პოლიტიკა საერთოდ არ აქვს, არაფერზე რეაგირებს. ვამბობთ, ქართველებმა აფხაზები უნდა მოვხიბლოთო, მაინტერესებს, როგორ აპირებს ამას საქართველოს მთავრობა, როცა ადგილობრივ აფხაზებს პენსია 300 დოლარი ჰქონდათ? საქართველოში ამდენს მისცემენ? 1993 წლიდან მოყოლებული, დამისახელეთ მთავრობის მიერ გადადგმული ერთი კონკრეტული ნაბიჯი, რომელმაც ოკუპირებულ ტერიტორიებთან ერთი მილიმეტრით მაინც დაგვაახლოვა. მთავარი მიზეზი ისაა, რომ ქართველებმა არ ვიცით რა გვინდა, აფხაზებმა — იციან. მათ დამოუკიდებლობა სურთ. კარგავენ თუ არა მას, ეს სხვა საკითხია. ვერ გავიგეთ რა გვინდა, საით მივიდვართ, რას ვთავაზობთ. ხელისუფლებები იცვლება, აფხაზები წინ მიიწევენ, ჩვენ უკან. დღეს ქართველების ნაწილი იმასაც მეუბნება, აფხაზეთის გაგონება არ მინდა, პრობლემებს გვიქმნის, მაინც დაკარგულიაო. ალბათ, აფხაზეთიდან ქართველებს რომ გამოყრიან, საქართველოს ხელისუფლება კომპენსაციებს შესთავაზებს. სხვა მოქმედებების განხორციელების უნარი მას არ გააჩნია. გალიდან ქართველების გამოსახლების ტალღა სავარაუდოდ გაზაფხულზე დაიწყება. პროცესი უკვე დაწყებულია, რვა ქართველების დაკავებაც სწორედ გალელების დასაშინებლად კეთდება. სხვათა შორის, შარშან ენგურის სანაპიროებზე კამერების განსათავსებლად გამოცხადებულ ტენდერში რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტრომ გაიმარჯვა. რამდენიმე დღის წინ მთელ ენგურზე კამერების დამონტაჟება დაიწყო. ეს სოლიდურ თანხებთანაა დაკავშირებული, რასაც ბუნებრივია, რუსეთი კონკრეტული მიზეზების გარეშე არ დახარჯავდა. ეს ნიშნავს, რომ აფხაზეთი დანარჩენი საქართველოსთვის აბსოლუტურად ჩაიკეტება და ქართველები, რომლებიც მდინარის საშუალებით გალში გადასვლას ახერხებდნენ, მომავალში ამას ვეღარ შეძლებენ. ლოგიკური დასასრული კი, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის რუსეთის ფედერაციის სუბიექტად გამოცხადება იქნება, რასაც „ოცნებას“ საზოგადოება არ აპატიებს“.**

„ვერსია“ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის მინისტრსაც დაუკავშირდა. პაატა ზაქარეიშვილმა, ამ კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით, შსს-ში გადაგვამისამართა, საკითხზე ჭიკაიძის უწყება მუშაობსო. რაც შეეხება ხელისუფლების სტრატეგიას, ოკუპირებულ რეგიონებთან დაკავშირებით, ეს საუბრის სხვა თემაა, რომელზეც პირადად ზაქარეიშვილსაც არაერთხელ უსაუბრია „ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუებშიც.

აფხაზეთში ქართველების შევიწროების მოლოდინი აქვს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრ **ადა მარშანიასაც**, თუმცა ამბობს, რომ მათ ალტერნატივას აფხაზური პასპორტის აღების კუთხით შესთავაზებენ: **„ვერაფრით დავადგინე, რა მიზეზით დააკავეს ეს ადამიანები, თუმცა აფხაზეთში მართლაც აქვთ ბაზა, ვინ იბრძოდა 90-იანი წლების დასაწყისში. ზოგი ამბობს, რომ რვა ქართველის დაკავება მორიგი პროვოკაციაა, ზოგიც სხვადასხვა მიზეზს ასახელებს, თუმცა ერთი რამ ფაქტია, ვინც აფხაზეთის ომში იბრძოდა, აფხაზეთიდან ყველა წამოვიდა. მათ იცოდნენ, რომ აფხაზები აუცილებლად დააკავებდნენ. ამიტომაც არ მჯერა, რომ ამ რვა პიროვნებამ ასეთი სისულელე ჩაიდინა და აფხაზეთის ტერიტორიაზე გადავიდა. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოც ნერვიულობს და წუხს, მაგრამ მათი გათავისუფლება და აფხაზურ მხარესთან მოლაპარაკების წარმოება საქართველოს უშიშროების საქმეა. ხაჯიმბას დე ფაქტო პრეზიდენტად არჩევისა და რუსეთთან ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, ბუნებრივია, ვითარების დაძაბვის მოლოდინი მქონდა. შესაძლოა, ბევრი ოცნებობს, მაგრამ ქართველებს აფხაზეთიდან სრულად ვერ გამოყრიან, სავარაუდოდ, მათი სტატუსი შეიცვლება. კერძოდ, ქართველებს აფხაზური პასპორტების მიღებას აიძულებენ, რითაც საქართველოსთან ყოველგვარი იურიდიული ურთიერთობის გაწყვეტას შეეცდებიან. ცვლილებებსა და აფხაზეთთან თანამშრომლობას ველოდებოდი, მაგრამ ორი წლის თავზე ეს მოლოდინი გამიქრა. ქვეყანა მეცოდება, როდემდე უნდა იყოს ამ მდგომარეობაში, თორემ ხელისუფლება რომ ვადამდელი არჩევნებით შესაცვლელია, ეს დიდი ხანია ვიცი“.**

ვერსიანიუსი

გაერო-ს უშიშროების საბჭოს წევრებმა რუსეთისა და ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. ხელშეკრულება დაგმეს

აშშ-ს, ლიტვისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლების განცხადებით, ე.წ. ხელშეკრულება საქართველოს სუვერენიტეტს არღვევს და რეგიონულ უსაფრთხოებას უქმნის საფრთხეს.

რუსეთის წარმომადგენლების აზრით კი, შეთანხმება გაერო-ს უშიშროების საბჭოზე არ უნდა ყოფილიყო განხილული: **„რუსეთსა და აფხაზეთს შორის შეთანხმება ეს არის ორმხრივი ურთიერთობის საგანი, რომელიც დაიდო ამ დამოუკიდებელ ქვეყანასთან, ამიტომ ეს საკითხი არ უნდა განიხილებოდეს გაერო-ს უშიშროების საბჭოზე“.**

რუსეთმა ოკუპირებულ აფხაზეთთან სამეკავშირეო ხელშეკრულება გააფორმა. ანალოგიური შეთანხმების გაფორმებას მოსკოვი ოკუპირებულ ცხინვალთანაც გეგმავს. რუსეთის ეს ქმედება საერთაშორისო საზოგადოებამ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევად შეაფასა და განაცხადა, რომ ის საფრთხეს უქმნის როგორც საქართველოს, ასევე რეგიონულ უსაფრთხოებას.

„პირველი“

საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ახალგაზრდა ქალი სიკვდილს გადაარჩინეს



შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ლევან ჯაიანმა და ირაკლი აზმაიფარაშვილმა რუსთავში სუიციდის მცდელობის ფაქტი აღკვეთეს. გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ „112“-ში შევიდა შეტყობინება, რომ ქალაქ რუსთავში ქალბატონი მდინარე მტკვარში გადახტომას აპირებდა. შემთხვევის ადგილზე მისულმა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟმა აღმოაჩინა, რომ 1976 წელს დაბადებული ქალბატონი უკვე გადამხტარიყო მდინარეში და იხრჩობოდა. ოცეულის მეთაური ლევან ჯაიანი და მისი მეწყვილე ირაკლი აზმაიფარაშვილი არ დაელოდნენ სამაშველო სამსახურის მისვლას, მდინარეში შეცურეს და ქალბატონი წყლიდან უვნებლად გამოიყვანეს. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ დაზარალებული საავადმყოფოში გადაიყვანა. ამ დროისთვის მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია. გამოძიება თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით საქართველოს სსკ-ს 115-ე მუხლით მიმდინარეობს.

„ვერსიანიუსი“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

„უკრაინის ომი სხვისი ომია და არ უნდა ჩავერიოთ“

კობა ნარჩემაშვილი სკანდალურ შეფასებებს აკეთებს და დეპუტატობისთვის ემზადება

„ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის“, — ასე აფასებს კობა ნარჩემაშვილი ოცნება-ნაციონალების ურთიერთობას, თუმცა აღიარებს, რომ „ქარავანი“, უმეტესად, დგას. ყოფილი შს მინისტრი საკუთარ პოლიტიკურ სურვილებსაც გვიმხელს, მომავალ არჩევნებზე საპარლამენტო სიაში ვიქნებიო. მთავრობაში დაბრუნებაზე არ ფიქრობს, ამბობს, არც შემოთავაზება მიმიღია, მაგრამ „სისტემის ტრანსფორმირების“ ჯგუფში სიამოვნებით ვიმუშავებდიო. საუბრობს კარსმომდგარ გარესაფრთხეებზე, ქართულ-უკრაინულ არამეგობრულ პოლიტიკაზე, თავდაცვის სამინისტროს შეცდომებზე და საკმაოდ არაპოპულარულ განცხადებასაც აკეთებს — „ვერსიის“ რესპონდენტი სახელისუფლო, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი კობა ნარჩემაშვილია.

— ვფიქრობ, სკანდალი, რაც თავდაცვის სამინისტროს გარშემო დატრიალდა, დაღუპული მებრძოლის თაობაზე, ნაციონალების მიერ ხელოვნურად ანგაჟირებული თემაა. ეს მაინც პოლიტიკური განცხადება იყო და სჯობდა, თავდაცვის სამინისტროს საერთოდ არ გაეკეთებინა.

— ამ თემას სხვაგვარად შევხედოთ — უნდა იბრძოლოს თუ არა ქართველმა მეომარმა სხვის ომში და საერთოდ, რას ნიშნავს სხვისი ომი — უკრაინის ომი სხვისი ომია?

— თუ არ არის სხვისი ომი, მაშინ უკრაინას სამხედრო მხარდაჭერა სახელმწიფო დონეზე გამოვუცხადოთ. მესმის, რომ „აისაფის“ ოპერაციები მსოფლიო უსაფრთხოებისა და ტერორიზმის წინააღმდეგაა მიმართული, მაგრამ არც ის მიმაჩნია გამართლებულად, ჩვენი პატარა ქვეყანა ამხელა კონტრიბუციას იღებდეს და მისიებში, ვთქვათ, 200-ის ნაცვლად, 2 000 ჯარისკაცს უშვებდეს. უნდა ვუთანაგრძნოთ უკრაინას, მაგრამ ამ ომში არ უნდა ჩავერიოთ.

— თანაგრძნობა რაში გამოიხატება?

— სამედიცინო დახმარებაში, დაჭრილების მოვლაში, მედიკამენტების გაგზავნაში, სამაშველო ღონისძიებებში და ა.შ. უკრაინის სამხედრო დახმარება ჩვენთვის ძალიან სახიფათოა. თავდაცვის სამინისტროსთან მიმართებაში კი მესმის, მოდური არაა ახლა მათი გამართლება, მაგრამ ნაციონალურ მოძრაობასა და მათ მხარდამჭერებს თავი უფრო „პრადვინუტები“ ნუ ეგონებათ. ზუსტად ვიცი, სინამდვილეში, ისინიც ასე ფიქრობენ.

— უკრაინა და საქართველო რუსეთის წინააღმდეგ ერთ კონტექსტში არ უნდა განვიხილოთ?

— რომ განვიხილოთ, რას მივიღებთ — საერთაშორისო მხარდაჭერას? სად იყო 2008 წელს ეს მხარდაჭერა?

— რომ იყო, იქნებ, ამიტომ არ მივიღეთ უარესი შედეგები?

— რა გამოდის, რუსეთს ომი უნდა გამოვუცხადოთ და თუ მაშინ 360 კაცი მოკვდა, ახლა 560 მოკვდეს? თუ მაშინ ტერიტორიის 20% დავკარგეთ, ახლა მთელი ქვეყნის დამოუკიდებლობა დავკარგოთ?! ეს მოვლენები ძალიან სახიფათოა: ჩვენგან სამხრეთით, 500 კილომეტრში, უზარმაზარი ისლამური სახელმწიფოა, მომაკვდინებელი საფრთხე. რუსეთისთვის „აქილევსის ქუსლი“ ჩრდილოკავკასიაა. სამწუხაროა, მაგრამ ამ გეოსტრატეგიულ თამაშში პოლიგონი უკრაინაა და უარს ბევრი თანამედროვე პოლიტიკოსი არ იტყოდა, რომ საქართველოც ასეთივე პოლიგონი გამხდარიყო. ეს რომ ასე მოხდეს, ისლამური სახელმწიფოს მეომრების შემოდინებას და მათ ჩრდილოკავკასიელ ბოევიკებთან შეერთებას რუსეთი არ დაუშვებს, ელვის სისწრაფით გავა საბჭოთა კავშირის ყოფილ საზღვრებზე და საზღვრებს დაკეტავს.

— მერედა, ამას პოსტსაბჭოთა ქვეყნები და მთელი დანარჩენი მსოფლიო დაუშვებს, ან რუსეთს ამის რესურსი აქვს?

— ახლა რუსეთს არც იმის რესურსი აქვს, რასაც ნოვორასიაში აკეთებს და მაინც იგივეს გააკეთებს, რუბლი სულ რომ განულდეს. საქართველო ამდენს ვეღარ გაუძლებს, ამიტომ დაბალანსებული პოზიცია უნდა შევინარჩუნოთ: მკაფიოდ ვთქვათ, რომ ღირებულებითი თვალსაზრისით, ევროპულ გზას ვადგავართ, მაგრამ ასეთ კონფლიქტებში სამხედრო ნეიტრალიტეტს ვინარჩუნებთ.

— და ასევე, ვიღებთ პუტინის მიწვევებს და ჩავდივართ რუსეთში მოლაპარაკებებზე?

— ყველამ ძალიან კარგად იცის, რომ საქართველოში ამის გამკეთებელი არავინაა. ესეც 2008 წლის ომის შედეგია — მას მერე საქართველოს არცერთ ხელისუფლებას

რუსეთთან მოლაპარაკების მაგიდასთან აღარ დაეჯდომება. მოსახლეობაში ეს კონიუნქტურა იმდენად გამჯდარია, ამ ტვირთს ვერცერთი პოლიტიკური ძალა და პერსონა ვერ აწევს. ჯერ ვითარება ქვეყაში უნდა მომწიფდეს, ოღონდ — არა კატაკლიზმურად.

— ამ დროს, ნაციონალური მოძრაობის ძებნილი მაღალჩინოსნები უკრაინის ხელისუფლებაში რომ ინიშნებიან, ეს რას ნიშნავს?

— რბილად რომ ვთქვათ, ეს უკიდურესად არამეგობრული ნაბიჯია საქართველოს ხელისუფლების მიმართ. როცა ნებისმიერი ქვეყანა შენს ძებნილ პრეზიდენტსა და ექსმაღალჩინოსნებს პოსტებზე ნიშნავს, ეს დემონსტრაციული, არამეგობრული და გარკვეულწილად, პროვოკაციული ნაბიჯია.

— და რაში აწყობს ეს უკრაინას?

— ეგ არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, „ოცნებამ“ შეცდომა დაუშვა, რადგან კოალიციის სიჭრელისა და არაერთიანობის გამო, სათანადო დიპლომატიური მუშაობა ვერ შეძლო. ჩემთვის გაუგებარია, რატომ დუმს პროკურატურა: როცა შენი ქვეყნის ყოფილი მაღალჩინოსანი პოსტს ტოვებს და მას სახელმწიფო საიდუმლოებებთან ჰქონდა წვდომა, ამ საიდუმლოს შენახვის ვალდებულებაც აქვს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი კი ჯაშუშობის მუხლს იცნობს, სადაც წერია, რომ უცხო ქვეყანის სასარგებლოდ შენს ხელთ არსებული ინფორმაცია არ უნდა გასცე. ამიტომ ხელისუფლებას ვეკითხები — ვინ გვაძლევს გარანტიას, რომ უკრაინაში დანიშნული ქართველი მაღალჩინოსნები რაიმე ინფორმაციას არ გასცემენ და მათ უკრაინის სპეცსამსახურებში ჯაშუშებად მყოფი სხვა ქვეყნის სპეცსამსახურებიც არ გამოიყენებენ?! პროკურატურამ უნდა დაიწყოს გამოძიება, რა ტიპის ინფორმაციასთან ჰქონდათ შეხება ამ ადამიანებს! ხოლო უკრაინიდან სააკაშვილისა და სხვების მიერ მკვახე განცხადებების კეთება ჩვენთვის სახიფათოა და შესაძლოა, წყალი რუსეთის წისქვილზეც დაასხას. რუსეთს იმაზე ლაპარაკის შანსი არ უნდა მიეცეს, რომ მის წინააღმდეგ საქართველო და უკრაინა გაერთიანდნენ. ეს ძალიან სახიფათო რამაა.

— ქვეყანაში სტაბილურობის განცდა მაინც არ არის — ტელევიზიები იხურება, მინისტრები მიდიან, ევროპა მიგვანიშნებს, რომ ჩვენთან ჩრდილოვანი მმართველობაა. ამ ვითარებაში გამოსავალი რა არის, ვადამდელი არჩევნები და ხელისუფლებაში ივანიშვილის ოფიციალურად დაბრუნება?

— „ოცნებაში“ ის არ მომწონს, რომ ხშირად, უაპელაციოდ, საკუთარი გუნდის წევრი იწირება. ვინც ამას ალღოს აუღებს, შეიძლება, ხელისუფლება მუდმივად აიძულოს, ბუდიდან „ბარტყები“ ყაროს. არჩევნები აუცილებელია, მაგრამ სასურველია, ეს ვადამდელი არ იყოს. თუმცა, თუ ახლა ვადამდელი არჩევნები ჩატარდა, შედეგები ბევრად ადეკვატური და ხალხის განწყობასთან მიახლოებული იქნება, რაც დადებით პროცესად მიმაჩნია. „ქართულ ოცნებას“ ვითარების სათავისოდ შემობრუნების რესურსი ჯერ კიდევ გააჩნია. რაც შეეხება პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილის დაბრუნებას, მას ხალხზე გავლენის შენარჩუნება რომ ნდომებოდა, „მეცხრე არხს“ არ გააუქმებდა. ჭორების მიუხედავად, დარწმუნებული ვარ, იგი პოლიტიკაში არ დაბრუნდება და ალბათ, ასეცაა უკეთესი. ამიტომ ვითარებას, ალბათ, მართლაც, ვადამდელი არჩევნები განმუხტავს.

— თქვენს თავს სად ხედავთ ასეთ დროს, პარლამენტში, მთავრობაში? ამბობენ, შემოთავაზებაც მიგიღიათ.

— მთავრობაში ნამდვილად არა, მაგრამ საჯარო პოლიტიკაში დაბრუნების სურვილი მაქვს და ამას ვგეგმავ კიდეც — თუნდაც პარლამენტში, რატომაც არა. თუ მანამდე არჩევნები იქნება, იქაც მივიღებ მონაწილეობას, თუ არადა, 2016 წელს — ნამდვილად. პირდაპირ ვამბობ, დიდი სიამოვნებით ვიმუშავებდი შსს სისტემის, უსაფრთხოებისა და სამართალდაცავი სტრუქტურების ტრანსფორმაციაზე, თუკი ასეთი ჯგუფი შეიქმნებოდა.

ლიბერთი ბანკმა სოციალური მომსახურების სააგენტოსთან ახალი ხელშეკრულება გააფორმა

ლიბერთი ბანკმა სოციალური მომსახურების სააგენტოსთან ფულადი გასაცემლების (ასაკობრივი პენსია, დევნილთა შემწეობა, საარსებო შემწეობა და ა.შ.) დარიგების ახალი ხელშეკრულება გააფორმა. ლიბერთი ბანკს პენსიების და სოციალური შემწეობების გაცემის უკვე ათწლიანი გამოცდილება აქვს. ამ ათი წლის განმავლობაში ლიბერთი ბანკი სისტემატურად აუმჯობესებდა პენსიონერებისა და სოციალური დახმარებების მიმღებთათვის გაწეულ მომსახურებას. 2010 წლიდან მოყოლებული დღემდე ლიბერთი ექსპრეს მობილური სერვისცენტრების რაოდენობა 109-მდე გაიზარდა. ისინი საქართველოს მასშტაბით ყოველთვიურად 2,000-ზე მეტ სოფელს ემსახურებიან და ამ სოფლებიდან ბევრი ისეთია, სადაც არც ერთი სხვა ბანკის სერვისცენტრი არ არსებობს.

მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში, 2019 წლის 31 დეკემბრამდე, ლიბერთი ბანკი პენსიონერებსა და სოციალური შემწეობების მიმღებებს საქართველოში ყველაზე ფართო დისტრიბუციის ქსელით მოემსახურება. ლიბერთი ბანკის ქსელი შედგება 500-ზე მეტი ფილიალისა და სერვის ცენტრის, 109 ლიბერთი ექსპრეს მობილური სერვისცენტრისა და 379 ბანკომატისაგან. ლიბერთი ბანკი განაგრძობს პენსიონერების მომსახურებას სრულიად უსასყიდლოდ. გარდა ამისა, ლიბერთი ბანკი აპირებს მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში ყოველწლიურად საკუთარი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე 5 მილიონი ლარი დახარჯოს და დამატებით სხვადასხვა აქტივობებისთვის 4 მილიონი ლარი გამოყოს.

ბენზინი კიდევ გაიაფდება

რატომ დაავალა პრემიერმა კონკურენციის სააგენტოს ნავთობპროდუქტების ბაზრის შესწავლა და რამდენად ადეკვატურია საქართველოში 10 თეთრით გაიაფებული ბენზინი საერთაშორისო ბაზართან

მაია მიშელაძე
593-51-90-12

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოსგან, 10 დღის ვადაში ითხოვს პასუხს კითხვაზე, რატომ არ იაფდება ბენზინის საწვავი საქართველოში მაშინ, როდესაც მსოფლიოში ნავთობპროდუქტების ფასი იკლებს: „კონკურენციის სააგენტოს მოვკითხე პასუხი, რატომ არ ხდება აქამდე ბენზინის ფასების შესწავლა და კონტროლი. მსოფლიო ბაზარზე საწვავის ფასებმა რამდენიმე ათეული პროცენტით დაიკლო. ჩვენდა გასაკვირად, არ ხდება ადეკვატური ასახვა ქართულ ბაზარზე. მინდა, კონკურენციის სააგენტოს ვთხოვო, 10 დღის ვადაში საზოგადოებას წარუდგინოს, რასთან გვაქვს საქმე. მე ვიცი, რომ ბენზინის ფასმა საქართველოში დაიწია, მაგრამ ეს უნდა იყოს ადეკვატური და მსოფლიო ბაზართან შესაბამისი“.

საერთაშორისო ბაზარზე ნავთობპროდუქტების ფასების კლების პროცესი 2014 წლის ივლისიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება. პლატსის (ადგილი საერთაშორისო ბაზარზე, სადაც დგინდება 1 ტონა ბენზინის გასაყიდი ფასი, — ავტ.) მიხედვით, ნავთობპროდუქტების საერთაშორისო ფასები 19 დეკემბრის მდგომარეობით, ასეთია: 1 ტონა ბენზინი — 52 6.50 აშშ დოლარი, 1 ტონა დიზელი — 527.25 აშშ დოლარი, ხოლო 1 ტონა მაზუთი — 302 აშშ დოლარი. საქართველოში საწვავის გაიაფება 2014 წლის აგვისტოდან დაიწყო და დღემდე, ყველა კომპანიამ ბენზინის საწვავი, დაახლოებით 30 თეთრით გააიფა.

მას შემდეგ, რაც გასულ კვირას, მთავრობის სხდომაზე, პრემიერ-მინისტრმა თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს 10 დღეში ნავთობპროდუქტების ბაზარზე არსებული მდგომარეობის შესწავლა დაავალა, რამდენიმე კომპანიამ საწვავის გაიაფებით უპასუხა. „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმის“ ხელმძღვანელობის განცხადებით, ქსელის მასშტაბით, აგვისტოდან დღემდე, ყველა სახის ნავთობპროდუქტის ფასი მცირდება. ამ ხსნის მანძილზე, „სოკარის“ ქსელში კლებამ 25-29 თეთრი შეადგინა. ამჯერად, საწვავის ფასები 5-10 თეთრით შემცირდა და ნანოდიზელზე — 1.85 ლარი, ევროდიზელზე — 2.01 ლარი, ნანო-რეგულარზე — 1.88 ლარი; ევრორეგულარზე — 1.91 ლარი, ნანოპრემიუმზე — 2.01 ლარი და სუპერზე — 2.10 ლარი შეადგინა.

ბოლო ორთვენახევრის განმავლობაში, „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმმა“ ნავთობპროდუქტების ფასი 9-ჯერ შეამცირა. „სოკარის“ სერვისცენტრებში, მომხმარებლებს დამატებით, 5-დან 15 თეთრამდე ფასდაკლებას იმის მიხედვით სთავაზობენ, რა რაოდენობის საწვავს შეიძენენ ისინი.

18 დეკემბრიდან, კომპანია „გალფში“, საწვავის ყველა პროდუქტის ფასი 4-10 თეთრით შემცირდა. როგორც კომპანიაში აცხადებენ, ფასის შემცირების პროცესმა რეკორდულ მინიმუმს მიაღწია. აგვისტოდან მოყოლებული, ფასის კლების უკვე მეშვიდე შემთხვევა დაფიქსირდა. ბოლო თვეების მანძილზე, „გალფის“ ქსელში, საწვავი 22-28 თეთრით გაიაფდა. როგორც კომპანიის მენეჯმენტში აცხადებენ, აღნიშნულ პროდუქტებზე ფასის შემცირება, საერთაშორისო ბაზარზე, პლატსის ფასის კლებამ განაპირობა: **„მნიშვნელოვანია სტატისტიკა, რომლითაც მსგავსი ფასები საქართველოში, ბოლო 5 წლის მანძილზე, არ დაფიქსირებულა. „გალფის“ ქსელში, საწვავზე ფასის კლების ტენდენცია კვლავ გაგრძელდება. კომპანია „გალფი“ დამატებით ფასდაკლებას სთავაზობს** ულფ ჩლუბ-**ის წევრებს, რომლებიც** -ორცე-**ის საწვავის შეძენისას, დამატებით 4-თეთრიან, ხოლო სხვა დანარჩენ საწვავზე — 2-თეთრიან ფასდაკლებას მიიღებენ“.** მათივე ინფორმაციით, აღნიშნული აქციის ფარგლებში, კლუბის თითოეული წევრი გაორმაგებულ ქულებსაც მიიღებს.

რა ხდება საქართველოს ნავთობპროდუქტების ბაზარზე, არიან თუ არა ბაზრის მონოპოლისტები, რომლებიც ბენზინს ერთ დღეს აძვირებენ და აიაფებენ? არის თუ არა კარტელური შეთანხმება ამ ბაზარზე? „ვერსია“ ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარეს, **ვანო მთვრალაშვილს** დაუკავშირდა:

— ბატონო ვანო, იმ ფონზე, როდესაც მსოფლიოში ნავთობპროდუქტების ფასი თითქმის ორჯერ შემცირდა, საქართველოში ბენზინის საწვავის 5 ან თუნდაც 10 თეთრით გაიაფება რამდენად ადეკვატურია?

— აგვისტოდან დღემდე, სხვადასხვა ეტაპზე, ბენზინის საწვავი ჯამში, 30 თეთრით შემცირდა. საერთაშორისო ბაზრებზე ნავთობპროდუქტების ფასების კლების პროცესი ზაფხულიდან დაიწყო. რა თქმა უნდა, ფასის შემცირება მომავალშიც გაგრძელდება, ამას ალტერნატივა არ აქვს და ეს უპირობოდ ასე იქნება! რაც შეეხება საწვავის ფასის ადეკვატურ შემცირებას, ამ შემთხვევაში, ობიექტური ფაქტორი უნდა გავითვალისწინოთ, რის გამოც საწვავი მეტად არ შემცირდა და ეს ლარის გაუფასურებას უკავშირდება. სწორედ ამ მიზეზით, პროდუქციის თვითღირებულება, საშუალოდ, 15-20 თეთრით გაიზარდა. გიმეორებთ, უახლოეს პერიოდში, საწვავის ფასის შემცირება გაგრძელდება.

— პრემიერ-მინისტრმა თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს დაავალა, ნავთობპროდუქტების ბაზარზე არსებული მდგომარეობა 10 დღეში შეისწავლოს. 10 დღე საკმარისია, რომ სააგენტომ სერიოზული პრობლემების მქონე ამ ბაზრის შესახებ, სრულყოფილი და კვალიფიციური დასკვნა მოამზადოს?

— პრემიერ-მინისტრის ეს განცხადება ძალიან მნიშვნელოვანია. ზოგადად, ბიზნესი მხარს უჭერს, რომ ნავთობპროდუქტების ბაზარი, ერთხელ და სამუდამოდ, კომპეტენტურად და ობიექტურად შეისწავლონ. ხშირად ამ ბაზრის შესახებ ცრუ და არამართებული ინფორმაცია ვრცელდება, რაც ჯამში, ბიზნესის იმიჯს აზიანებს. სწორედ ნავთობპროდუქტების იმპორტიორების ინტერესებში შედის, სააგენტომ ბაზარი გამოიკვლიოს და კვალიფიციური დასკვნა მოამზადოს. რაც შეეხება დროს, ნავთობპროდუქტების ბაზრის შესწავლა უფრო ადრე დაიწყო, ამიტომ ეს 10 დღე საკმარისი იქნება. ბევრს საუბრობენ ირეალურ ზემოგებებზე, რაც სიმართლეს არ შეესაბამება, რადგან ზემოგება ამა თუ იმ კომპანიის პირად ანგარიშებში უნდა იყოს ასახული. ამბობთ, ნავთობპროდუქტების ბაზარზე ისედაც პრობლემებიაო, არ გეთანხმებით, რადგან უკვე აგიხსენით, რომ საერთაშორისო ბაზარზე ნავთობის ფასების შემცირების პარალელურად, საქართველოში საწვავი ლარის კურსის ვარდნის გამო გაიზარდა. თუმცა აგვისტოდან დღემდე, ბენზინის საწვავი საქართველოში საგრძნობლად გაიაფდა. რაც შეეხება საერთაშორისო ფასებს, პლატსის მიხედვით, აგვისტოდან დღემდე, 1 ტონა ბენზინის ფასი 400 აშშ დოლარით შემცირდა, ბოლო ერთ თვეში კი — 200 აშშ დოლარით. ბოლო ერთი თვეც პროცენტულ მაჩვენებლებში შედის, მაგრამ ადგილობრივ ბაზარზე, მისი მყისიერად და მომენტალურად ასახვა წარმოუდგენელია. ერთი დღის წინ რომ საერთაშორისო ბაზარზე ფასი დაფიქსირდა, ის დღესვე როგორ უნდა აისახოს საქართველოს ბაზარზე? დღეს, ნავთობპროდუქტების ბაზარზე კონტრაბანდა საერთოდ არ არსებობს, შიდაქსელში ნებისმიერი ტვირთის მოძრაობა მკაცრი კონტროლის, მონიტორინგის ქვეშ, ელექტრონულადაა აღრიცხული, მათ შორის, ამ პროდუქტების თვითღირებულება და სარეალიზაციო ფასებიც. შესაბამისად, მოგება და ზემოგება, კომპანიის ფინანსურ ანგარიშებში უნდა აისახოს, მაგრამ ამა თუ იმ კომპანიას ხარჯიც ხომ აქვს? ამ ყველაფრის გათვალისწინებით, სულ სხვა მოცემულობას მივიღებთ. გარდა ამისა, როდესაც ბენზინის საწვავის ფასზე ვსაუბრობთ, ისიც ხომ უნდა გავითვალისწინოთ, რა ღირს ეს პროდუქტი ჩვენს მეზობელ ქვეყნებში? სომხეთში ბენზინის საწვავი იმაზე ბევრად ძვირია, ვიდრე საქართველოში, აზერბაიჯანში იმპორტირებული „სუპერი“ და „პრემიუმი“ ძვირია, უკრაინასა და მოლდოვაშიც გაცილებით ძვირია, ვიდრე ჩვენთან.

— როდესაც ნავთობპროდუქტების ბაზარზე არსებული პრობლემები ვახსენე, ის ვიგულისხმე, რომ ბოლოს და ბოლოს, კომპეტენტური პასუხი მივიღოთ კითხვაზე, არის თუ არა ამ ბაზარზე კარტერული გარიგება ან მონოპოლიური შეთანხმება, რადგან ბენზინს 5-10 თეთრის ფარგლებში, ბაზარზე არსებული ყველა კომპანია ერთ დღეს აძვირებს, ან ზუსტად ერთ დღეში, ამავე ფარგლებში ამცირებს. ეს კარტერული გარიგება, ან თუნდაც მონოპოლიური შეთანხმება არ არის?

— მაგალითად, „რეგულარის“ ფასი 1.84 ლარიდან იწყება და 1.92 ლარამდე ადის. ეს ნიშნავს, რომ სხვადასხვა კომპანიას შორის, 6-თეთრიანი განსხვავებაა. მათ შორის რომ კარტერული გარიგება, ან მონოპოლიური შეთანხმება იყოს, ფასებიც ერთნაირი უნდა ჰქონდეთ. იმის თქმა მინდა, რომ ნავთობპროდუქტების ბაზარზე მონოპოლიური შეთანხმების თემა დაივიწყეთ! რაც შეეხება კომპანიების მიერ, საწვავის ერთდროულად გაძვირებას ან გაიაფებას, კონკურენტი კომპანიების ბენზინგასამართი სადგურები ერთმანეთის გვერდი-გვერდ, ან პირდაპირაა განთავსებული. თუ ერთ დღეს, რომელიმე კომპანიამ შეამცირა, ან გააძვირა საწვავი, ამას მისი კონკურენტიც ხომ ხედავს, არა? იმ პირობებში, როდესაც კომპანიებს შორის, საწვავის ფასზე 6-თეთრიანი განსხვავებაა და შენი კონკურენტი დამატებით 5, ან 10 თეთრით ამცირებს, ან აძვირებს ფასს, შენც იძულებული ხარ, იგივენაირად მოიქცე. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაზარალდები, რადგან კლიენტი იმ ბენზინგასამართ სადგურზე მივა, სადაც საწვავი იაფია. შესაბამისად, კომპანიებს შორის, საწვავის ფასის ცვლილება სწორედ ამ მიზეზითაა განპირობებული, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო ამ საკითხსაც შეისწავლის.

— 2012 წლის 1 ოქტომბრიდან, ამაოდ ვეძებთ მისტიურ 1 ლარს, რომელსაც თურმე, ნავთობპროდუქტების იმპორტიორები ნაციონალური მოძრაობის მაღალჩინოსნებს უხდიდნენ... თქვენ მაინც ამიხსენით, სად ქრებოდა, ან ახლა ვის ჯიბეში მიდის ეს ყბადაღებული 1 ლარი?

— არ ვიცი, რადგან, როგორც წესი, პოლიტიკურ საკითხებზე კომენტარს არ ვაკეთებ. თუმცა ამ ხნის მანძილზე, სხვადასხვა დებატებში მონაწილეობისას, ძირითადად, 20-25 თეთრზე საუბრობდნენ ხოლმე, მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. ნებისმიერ შემთხვევაში, ჩემთვის ამ კითხვით ოფიციალურად არც ერთ უწყებას არ მოუმართავს, შესაბამისად, მართლა არ ვიცი, კონკრეტულად რას გულისხმობდნენ.

ვერსიანიუსი

კასპში იძულებით გადაადგილებულ 113 ოჯახს საცხოვრებელი სახლის გასაღები გადაეცა

კასპში, ყოფილი საავადმყოფოს შენობის რეაბილიტაცია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით განახორციელა.

დევნილთა მინისტრმა სოზარ სუბარმა, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორის პირველმა მოადგილემ ილია დარჩიაშვილმა და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მისიის დირეტორმა სტეფან ჰაიკენმა კასპის მუნიციპალიტეტში 113 იძულებით გადაადგილებულ ოჯახს საცხოვრებელი სახლის გასაღები გადასცეს.

სამუშაოების საერთო ღირებულება 4.043.674,44 ლარია. პროექტის ფარგლებში 113 საცხოვრებელი ბინის რეაბილიტაცია მოხდა. აქედან 37 ერთოთახიანი, 52 ოროთახიანი, 24 სამოთახიანი, მათ შორის რამდენიმე ბინა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვისაა სრულად ადაპტირებული. ბენეფიციარები სამაჩაბლოდან დევნილები არიან. პროექტის განმავლობაში მშენებლობაზე 170 ადამიანი იყო დასაქმებული, აქედან 50% ადგილობრივი მოსახლე.

აღსანიშნავია, რომ ყველა საცხოვრებელს გააჩნია ინდივიდუალური სააბაზანო და საპირფარეშო, რომელიც სრულად არის აღჭურვილი. სამზარეულოში დამონტაჟდა წყლის გამათბობლები, ასევე დაიდგა კარმის ტიპის გაზგამათბობელი. ეზოში მოწყობილია სათამაშო ატრაქციონი. ასევე მოეწყო ავტოსადგომი. დამონტაჟდა გარეგანათების ქსელი და დეკორატიული სანათები. USAID-თან და მუნიციპალური განვითარების ფონდთან თანამშრომლობით ქვეყნის მასშტაბით 2013 წელს 10 კორპუსის რეაბილიტაცია მოხდა საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში და ჯამში 335 ოჯახს გადაეცა სახლი, 2014 წელს კი 3 კორპუსის რეაბილიტაცია განხორციელდა: უკვე გაიხსნა ბორჯომში ახალი საცხოვრებელი კორპუსი, ამჟამად მიმდინარეობს ქუთაისში 110-ადგილიანი კორპუსის რეაბილიტაცია, ჯამში კი 241 ოჯახს გადაეცემა ბინა.

„პირველი“

მლვდელი, რომელიც პატიმრებს აღსარებაში 50 ლარს ართმევს

პატიმარი №0578

ყველა თუ არა, უმრავლესობა მაინც თანხმდება, რომ 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში მნიშვნელოვანი როლი ციხის კადრებმა ითამაშა. რა ხდებოდა ნაციონალების ციხეში, ზოგმა მოყოლით იცის, ზოგმაც ციხის კადრებით იხილა, საზოგადოების დიდმა ნაწილმა კი ყველაფერი ეს საკუთარ თავზე გამოსცადა. მას შემდეგ ვითარება რამდენჯერმე შეიცვალა — სოზარ სუბარის მინისტრობის პირველ პერიოდში, ზონებზე რეჟიმი ისე მოეშვა და კინაღამ ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავცვივდით. მერე, სისტემის დალაგება დაიწყო, მაგრამ თავისუფლებამინიჭებული პატიმრები პოზიციების დათმობას არ აპირებდნენ. შესაძლოა, ბევრმა არ იცის, მაგრამ მაშინ რამდენიმე სერიოზული შეხლა-შემოხლაც მოხდა. რა ხდება დღეს ქართულ ციხეებში? — ამას ორი კვირის წინ გათავისუფლებული პატიმრის მონაყოლით გავიგებთ, რომელმაც გისოსებსმიღმა რვა წელი გაატარა და შესაბამისად, ძველი და ახალი მდგომარეობის შედარება შეუძლია.

„შენ რომ მოგიყვანეს, 2010-ში, ხომ გახსოვს, როგორ იყო ზონაზე? — მიღების დროს პატიმრებს ლეწავდნენ. შენთვის ხელი არ დაუდიათ, მაგრამ გაიხსენე, გიორგა და ამირანა რა დღეში ჩაგდეს. სოზარას დროს მოეშვა სიტუაცია, მაგრამ ახლა...“ — ასე დაიწყო ლაშამ ყოფილ პატიმარ 0578-თან საუბარი — მოკლედ, გლდანში თითქმის იგივე ვითარებაა: გადავსებული კარანტინები, ნაგავი საკვები, ექიმის პრობლემა. ერთი ეგაა, კარანტინის დაშლის დროს, მხოლოდ იმას ურტყამენ, ვინც იმსახურებს. დამსახურება კი, პირობითი ცნებაა. ვიღაცას მძიმე დანაშაული აქვს და მაგრად სცემენ. ვიღაც ენას ატლიკინებს და წამოარტყამენ. ასე რომ, ცემატყეპა დღესაცაა, მაგრამ შედარებით მცირე დოზით. ნაციონალებმაც მცირე დოზით დაიწყეს და მადა მერე გაეზარდათ...

გლდანიდან წამოსული პატიმარი ზონაზე რომ მოდის, პადპისკაზე (ადმინისტრაციასთან თანამშრომლობაზე) ხელის მოწერას ისევ სთხოვენ. უარის შემთხვევაში, მინიმუმ, ორი ლაზათიანი სილა არ ასცდება. ზონაზე მაყურებლები უფრო გააქტიურებულები არიან. მაყუთიანი ტიპები თუ ჩაუვარდათ ხელში, სისხლს წოვენ, მაგრამ ორი თვის წინ, ერთი მაყურებელი გადაჰყვა ამ ამბავს. ვიღაც ფულიან ბიძას სვაბოდაზე მანქანა აყიდინა ანუ ტიპს ზონიდან ფული დაახარჯინა, ქურდულს კი არაფერი ერგო. ჰოდა, იმ მაყურებელს თავში ჩაარტყეს და კაიბიჭობასაც წერტილი დაუსვეს...

ყველასთვის არა, მაგრამ, ვინც მოინდომებს და დაიხარჯება, წამალსაც იშოვის, მობილურსაც და სხვა სიკეთესაც. გახსოვს, ჩვენ დროს სანთებელებზე რა ამბავი იყო და რა წვალებით შემოდიოდა? ახლა ოფიცერს ერთი ბლოკი სიგარეტი აჩუქე და ათ ცალ სანთებელას ისე შემოგიტანს, როგორც დაგიბარებია. მღებრიშვილი ყოფილი პოლიციელია, სისტემაც კარგად იცის და კრიმინალის ფსიქოლოგიაც, მაგრამ ძალიან ვერ „მოუჭერს“ — არ აპატიებენ, თითო ზონაზე ეგრევე ასი პატიმარი გადაიხსნის ვენებს. არადა, ნათქვამი აქვს, ნება მომცენ და ამათ ახალაიას ციხეს მოვანატრებ, ისეთი რეჟიმი მექნებაო...

ერთ ამბავს მოგიყვები და თავად განსაჯე, რომელი დრო სჯობდა. გრძელვადიანი პაემნების ოთახები ხომ იცი, როგორც არის მოწყობილი?! ჰოდა, ამას წინათ, ერთმა პატიმარმა დამონტაჟებული ვიდეოთვალი იპოვა. ატეხა ერთი ამბავი, მაგრამ უთხრეს, ალბათ, ძველი ხელისუფლებისდროინდელია, გამოვიძიებთო. გაგიჟდა კაცი, ეჭვი იმიტომ გაუჩნდა, კედელზე სისველე შეამჩნია და სულ ახალი ჩადგმული იყო. ზონაზე ლამის ბუნტი დაიწყო. ვიღაცამ დაიძახა, „ლიჩნების“ ოთახში რაღაც ხდებაო და მაყურებლებიც რომ არ გადაუშვეს, მივხვდით, სასწაული ხდებოდა. მღებრიშვილიც იყო ჩამოსული და დამნაშავის დასჯის პირობა დადო. მერე გავიგეთ, ეს ერთ-ერთი ოფიცრის იდეა იყო ანუ ვიღაცის ავადმყოფმა ტვინმა მოიფიქრა, რომ ოჯახური სექსისთვის უნდა ეყურებინა და ვიდეოთვალი დაამონტაჟა. ის ვიდეოთვალი პატიმარმა იპოვა და ატყდა ერთი ამბავი. ახლა ვინც ვერ იპოვა, იმათმა ხომ ატეხეს ერთი ამბავი... მოკლედ, სერიოზულ ბუნტს გადარჩა ხელისუფლება...

კიდევ ერთი საინტერესო მომენტი: სუბარისგან განსხვავებით, მღებრიშვილს სვანებთან ვალდებულებები არ აქვს. სოზარა შეჭამეს სვანებმა. ხან ვინ სთხოვდა რაღაცას და ხან ვინ. ის ირაკლი კორძაია რომ იყო, სწორედ მაგის გამო წავიდა სამსახურიდან. შეჭამეს ეგეც, ხან რას სთხოვდნენ, ხან — რას. მაყურებლები და პალაჟენეცებიც, ძირითადად, სვანები იყვნენ. ახლა თბილისელების ხელში გადავიდა ზონები, მღებრიშვილი თბილისელია და მათთან ურთიერთობა უფრო უადვილდება...

საკვები ისევ ისეთი ნაგავია, რაც შენს დროს იყო, ბალანდაა რა... ალასანიას ჯარის კვებაზე რომ ატყდა ამბავი, პატიმრებმა ბევრი იცინეს. სერიოზულ სანაძლეოს დავდებ, იქ რომ ხორცს გვაჭმევენ, ძაღლს დაუყარონ, თუ შეჭამს, წაგებული ვარ. რაღაც საშინელი ხორცია, იფშვნება და სუნი აქვს, გრიპი თუ არ გაქვს, ისე ვერ ჭამ. სოსისი მოაქვთ კვირაში ორჯერ. თითო პატიმარს თითო ერგება, მაგრამ ცელოფანს არ აწერია, ვისი წარმოებულია. პლასტელინივით იზილება და კბილებიდან ძლივს იშორებ, მაგრამ როცა სხვა საკვები არ არის, ვისაც ფული არ ერიცხება, იძულებულია, ჭამოს...

ის სასწრაფოების იდიოტური სისტემა ისევ ძალაშია. ზონის გარეთ მორიგეობენ სასწრაფოები, რომ პრობლემა არ შეიქმნასო, გვაბოლებდნენ, ხომ გახსოვს? ახლაც ასე გვეუბნებოდნენ. არადა, რამდენჯერაც დასჭირდა პატიმარს, იმდენჯერ ერთი საათი დააგვიანდა სასწრაფოს ექიმს. ჯერ ზონის ექიმი გადმოდის და უნდა დაადასტუროს, რომ სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაყვანა გჭირდება. მერე ზონის ხელმძღვანელობამ დეპარტამენტში უნდა დარეკოს და ტერიტორიაზე სასწრაფოს შესვლის ნებართვა მოითხოვოს. ნებართვის მიღების შემდეგ იწყება სასწრაფო მანქანისა და ექიმების ჩხრეკის პროცედურა. ამის მერე, პატიმარი თუ ცოცხალი დახვდათ, მიჰყავთ გლდანის ციხის საავადმყოფოში. იქ ბადრაგი წამოარტყამს თავში, რას გვაღვიძებ ამ შუაღამესო და ასე მთავრდება ეს მხიარული ისტორია...

ათასი კლიპი გადის ტელევიზიით, იქ ინვალიდებს ეხმარებიან, აქ არა ძალადობასო, აქეთ კიდევ ვიღაც კვდება და ფული ჩაურიცხეთო. ზონა კი არავის ახსოვს. ელემენტარულად, წელიწადში ერთხელ სპორტის სხვადასხვა სახეობის ფედერაციებმა თითო ზონას ათი ბურთი რომ აჩუქოს, ცუდი იქნება?! აზრად კი მოსდის, ალბათ, ვინმეს, მაგრამ მომგებიანი არ არის. რა ბურთი და ზონა?! თან პატიმრების ეშინიათ, მგონი, ზაპრეტკის მეორე მხრიდან გველაპარაკებიან, მაიმუნებივით ვართ გალიაში. მინისტრის ახალი მოადგილე კახი კახიშვილი სანამ თანამდებობაზე მოვიდოდა, მთელ ამბებში იყო. ახლა კი იძულებულია, ისე ისაუბროს, როგორც საუბრობს. რაღაც დამალოს, რაღაცაზე თვალი დახუჭოს. დანარჩენებს კი, უბრალოდ, ჰკიდიათ რა. არასამთავრობო იმიტომ შემოდის ზონაზე, მერე რომ ჩაწეროს, მონიტორინგი განვახორციელეთო და დამატებითი გრანტი მიიღოს. არ გამოვა ასე, არა. საპატიმროები დიდი ბიზნესია, მაგრამ პატიმარმა თუ არ იგრძნო ცოტა შვება, გასკდება ყველაფერი ეს ერთ დღეს. სხვათა შორის, ნაციონალური მოძრაობის წევრები ცდილობდნენ სიტუაციის არევას, ვითომ მონიტორინგიო, თავის არასამთავრობოები შემოუშვეს, ჭკუის დარიგება დაგვიწყეს, ბუნტის ნუ მოგერიდებათ, ჩვენ გარედან დაგიპადერჟკებთო. კინაღამ ცემეს მაყურებლებმა, რა ბუნტი, ძლივს პალაჟენია მოგვყავს და თქვენი პოლიტიკის გამო... გივია თარგამაძეს აგინეს მერე, იმან გამოგვგზავნაო. მეორეს მხრივ, პატიმრებმა იციან, რომ საჭიროების შემთხვევაში, ხმაურს თუ ატეხენ, ნაცები ამ ამბავს მსოფლიოს მოჰფენენ და ესეც არ არის კარგი. კარგი ხელისუფლებისთვის, თორემ პატიმრისთვის სულ ერთია, ვინ იქნება ზემოთ, მთავარია თვითონ როგორ იქნება. თანაც, ხომ იცი, ხელისუფლების ცვლილებას ამნისტიის მოლოდინი ახლავს და რაც უფრო ხშირად შეიცვლება ხელისუფლება, პატიმრებს აწყობთ...

საპატრიარქოს წარმომადგენლებმა ციხეებში ვიზიტებს მოუკლეს. მართალია, ადრინდელთან შედარებით ახლა ცოტა ხალხია, მაგრამ მაინც. გლდანში რომ მამაო დადიოდა ხოლმე და ვიზიტზე სამ თუმანს იღებდა, ხომ გახსოვს? ისევ დადის, თურმე, მაგრამ პატიმრები შემოაკლდა ახლა და ხუთ თუმანზე გადავიდა. მოვა, აღსარებას ჩაიბარებს, საკნიდან გამოგიყვანს ერთი საათით... შენ გიხარია, ერთობი... ის კიდევ... ადრე შენ კი ატეხე მაგაზე ერთი ამბავი, მაგრამ ვინ მოგისმინა?! ვისაც თავისი მოძღვარი არ ჰყავს, იმ მამაოსთან მიდის...

ახალი წელი მოდის და დაგვპირდნენ, საახალწლოდ თითო პატიმარზე ქათმის თითო ბარკალი იქნებაო. უხარიათ ბიჭებს, მაგრამ ბარკლის ნაცვლად რომ გაიჭირვონ და თითო პატიმარზე თითო ამანათი შეუშვან, არ იქნება ცუდი. პატიმართა დასაქმების ცენტრი თუ რაღაც „სირობა“ რომ აქვს იუსტიციის სამინისტროს, იქ მივედი. ისე დასაქმდეს ჩემი მტერი, მე რომ დამასაქმეს. რა იცი მაღალ დონეზეო, მკითხეს და წამლის კეთება-მეთქი. ეგ მართლა მაღალ დონეზე ვიცი, მაგრამ ისე ფიზიკური სამუშაო, რასაც სპეციალური განათლება არ სჭირდება, ყველაფერი შემიძლია-თქო. მშენებლობაზე რასტვორს მაინც მოვზილავ და გზის დაგებაზე ლაფათქას მაინც დავიჭერ ხელში-თქო. კარგიო, მითხრეს და წამოვედი. სოფელში ვიყავი ორი კვირა, გავლოთდი კინაღამ, დალევის მეტს არაფერს აკეთებენ. ქალაქში ჩამოვედი და საქმე არაფერია. დედაჩემის პენსია წამოვიღე, უგროვებია საწყალ ქალს და საკვებზე მყოფნის ჯერ, მაგრამ ერთი თვის შემდეგ დედისთვის პენსიის გამომრთმევი აღარ ვარ და ხომ არ იცი, რა უნდა გავაკეთო?! მადლობა მთავრობას, წამალი გადავაგდე, მაგრამ ახლა რა ვქნა?! სამსახური — არა, პერსპექტივა — არა... მომშივდება ერთ დღეს, ძალიან მომშივდება და მერე იტყვიან, ამის გამოსწორება ხომ არ იქნაო და მარტო მე? გათავისუფლებულ პატიმართა 90 პროცენტი ასეა...

P.S. „ლიჩნების“ ოთახში ვიდეოთვალის დამონტაჟების ამბავი ჩვენი არხების მეშვეობით გადავამოწმეთ. გავარკვიეთ, რომ ერთ-ერთ მაღალჩინოსანს ანალოგიური იდეა მართლაც მოსვლია, მაგრამ ვიდეოთვალის მონტაჟი ვერ მოასწრო, მხოლოდ ის ადგილი მონიშნა, სადაც ვიდეოთვალი უნდა დაემონტაჟებინა და პატიმარმა კედელში სწორედ ის ნახვრეტი იპოვა.

შსს-მ ნარკოორეალიზატორი დააკავა

1984 წელს დაბადებული, რუსთავში მცხოვრები ფიზიული დ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და გასაღების ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა ბრალდებული წითელი ხიდის სასაზღვრო გამშვებ პუნქტში იმ დროს დააკავეს, როდესაც ის ქვეყნის დატოვებას და მიმალვას ცდილობდა. გამოძიებამ დაადგინა, რომ ფიზიული დ. ნარკოტიკულ საშუალებას სისტემატურად ყიდდა. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ფაქტზე საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

„ვერსიანიუსი“

ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. პარლამენტმა ე.წ. ხელშეკრულების რატიფიცირება მოახდინა

რუსეთთან „მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის“ შესახებ ე.წ. შეთანხმებას მხარი 23-მა ე.წ. დეპუტატმა დაუჭირა, წინააღმდეგ კი ხმა 5-მა მისცა.

დოკუმენტი თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში საერთო სივრცის შექმნას ისახავს მიზნად. ე.წ. ხელშეკრულებას ხელი ვლადიმერ პუტინმა და ოკუპირებული აფხაზეთის დეფაქტო პრეზიდენტმა, რაულ ხაჯიმბამ სოჭში, 25 ნოემბერს მოაწერეს. რუსეთი ანალოგიური დოკუმენტის ხელმოწერას ე.წ. სამხრეთ ოსეთთანაც გეგმავს, რომელიც უფრო მეტ ინტეგრაციას გულისხმობს.

„პირველი“

შსს-ს ძიუდოს სპორტული კლუბის წევრები საქართველოში გამარჯვებით დაბრუნდნენ

შსს-ს ძიუდოს სპორტული კლუბის Figther Tbilis-ის ძიუდოისტებმა ჰოლანდიაში გამართულ ტურნირში, სადაც ევროპის საუკეთესო გუნდი უნდა გამოვლენილიყო, გუნდური პირველი ადგილი დაიკავა.

ევროპულ სარბიელზე ეს მათი პირველი გამოსვლა იყო. ამ გამარჯვებით ქართველი ძიუდოისტები ევროპის ჩემპიონატის ოქროს ლიგაში გადაინაცვლებენ და მომავალ წელს კონტინენტის უძლიერეს გუნდურ ჩემპიონატში მოსინჯავენ ძალებს. გამარჯვებულებს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში შსს-ს დაცვის პოლიციის და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლები დახვდნენ.

შს მინისტრის ინიციატივით და დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ხელშეწყობით, „შინაგან საქმეთა სამინისტროს ძიუდოს სპორტული კლუბი“ 2014 წლის მაისში დაარსდა. კლუბის წევრთა უმრავლესობა საქართველოს ნაკრების ძიუდოისტია და ისინი მსოფლიო ჩემპიონატების და საერთაშორისო ტურნირების პრიზიორები არიან. შსს-ს ძიუდოს სპორტული კლუბისთვის ჰოლანდიაში მიღწეული შედეგი მეორე დიდი გამარჯვებაა. ცოტა ხნის წინ ქართულმა კლუბმა იაპონიაში გამართულ ტურნირში მსოფლიოს საუკეთესო გუნდებს შორის მეოთხე ადგილი დაიკავა. ქართველ ძიუდოისტებს ჰოლანდიაში გამგზავრებამდე შს მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე შეხვდა. ძიუდოისტები შსს-ს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ კამპანიას შეუერთდნენ და ევროპულ სარბიელზე მიღწეული გამარჯვებაც ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას მიუძღვნეს.

„ვერსიანიუსი“

„არიან შეზღუდული აზროვნების ქართველები, რომლებიც უცხოელებს უფრთხიან, მაგრამ უმეტესობა თბილად და მეგობრულად გვექცევა“

არის თუ არა რასიზმის ნიშნები საქართველოში და როგორ ცხოვრობენ თბილისში უცხოელი სტუდენტები

მაკა ლომაძე
555-27-95-13

როცა აფრიკაში ებოლას ვირუსი მძვინვარებდა, ერთი აფროამერიკელი მოქალაქე თბილისში ავტობუსიდან ჩამოაგდეს. „ვერსია“ დაინტერესდა, ეს რასიზმის უხეში გამოვლინება იყო თუ, უბრალოდ, შიშს დიდი თვალები აქვს და ფაქტი ინსტინქტურად მოხდა? ბოლო წლებში, პოლიეთნიკური თბილისი გაფერადდა და თითქმის ინტერნაციონალური გახდა. დღეს საქართველოს დედაქალაქში თითქმის ყველა რასა და ყველა დასახლებული კონტინენტის წარმომადგენელი შეგხვდებათ. „ვერსია“ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ესტუმრა, სადაც ყველაზე მეტი უცხოელი სტუდენტი (დაახლოებით 2000) სწავლობს. მათ შორის ბევრი შავკანიანია, დაახლოებით 40% კი — ინდოელი. არის თუ არა გაზვიადებული ჩვენი წარმოდგენები ქართულ ტოლერანტობასთან დაკავშირებით? ამას „ვერსიის“ სპეციალური რეპორტაჟიდან შეიტყობთ.

21 წლის აჰმადი ერაყელია. მას აქ სიმშვიდე ხიბლავს: **„საქართველო ჩვენთან ახლოსაა, ამიტომ დიდი თანხა არ დაგვჭირდა აქ ჩამოსასვლელად. ამასთან, როგორც ვიცით, თქვენ ომი სხვა რელიგიის წარმომადგენლებთან საუკუნეებია არ გქონიათ. აქ უამრავი მუსლიმი, ებრაელი და კათოლიკე ქრისტიანი მშვიდობიანად თანაცხოვრობს“.** ძნელია, აჰმადს არ დაეთანხმო, რომ ახლო აღმოსავლეთის ბევრი სხვა ქვეყნისგან განსხვავებით, საქართველოში დღეს რელიგიური ბრძოლა არ მიდის. **„ეს მშვიდობიანი მიწაა. აქ კეთილი ხალხი ცხოვრობს. აქაური ლექტორები ისე გვექცევიან, როგორც ქართველებს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ჯგუფი, ძირითადად, ერაყელების, თურქებისა და შრი-ლანკელებისგან შედგება, ქართველ სტუდენტებს ბიბლიოთეკაში ვხვდებით და მათგანაც დადებით განწყობას ვგრძნობთ“,** — აცხადებს აჰმადი და იმასაც გვიმხელს, რომ ყოველთვის ასე არ იყო — ახალჩამოსულებს უფრო ამრეზით უყურებდნენ: **„პირველი ორი თვე იყო სირთულე. სულ რომ არ გვინდოდეს, კანის ფერი გაგვცემს, რომ აქაურები არ ვართ. რა თქმა უნდა, არიან შეზღუდული აზროვნების ქართველებიც, რომლებიც უცხოელებს უფრთხიან. მე მაგალითად, ერთი ქართველი გოგონა მომწონდა, მაგრამ სიყვარულში ვერ გამოვუტყდი, რადგან არ მინდოდა, პრობლემები შექმნოდა“.** აჰმადმა გაგვანდო, რომ მას შემდეგ, კიდევ ერთი ქართველი გოგონათი მოიხიბლა. დღეს ის მისი შეყვარებულია, თუმცა არავინ იცის, რით დასრულდება მათი სიყვარულის ისტორია, რადგან გოგონას მშობლებს აჰმადი ჯერ არ გაუცნიათ. როგორც ჩანს, სტიგმა მაინც არსებობს. მომავალი კარდიოლოგი საქართველოში კიდევ 5 წელი დარჩება. სწავლის გაგრძელება გერმანიაში სურს. თუ გოგონას ცოლად გააყოლებენ, ამბობს, რომ დაბრუნდება: **„სადაც სიმშვიდეა, შენი მეორე სამშობლო ხდება. მე ერაყელი ვარ, მაგრამ თქვენი ქვეყანა ახლა ჩემი ქვეყანაცაა“.** აჰმადის აზრით, დრო გავა და საქართველო უფრო ტოლერანტული გახდება, რადგან აქამდე ამდენი უცხოელი ჩვენთვის უჩვეულო იყო.

შინსლი ინდოელი გოგონაა: „საქართველოში ოქტომბერში ჩამოვედით. გულწრფელი რომ ვიყო, აეროპორტში, ძალიან უხერხულად ვიგრძენი თავი, რადგან ხალხი მომაშტერდა. იმწუთას ინდოეთში დაბრუნება მომინდა. მეორე სირთულე ენობრივი ბარიერია — თუ მაღაზიაში შეხვალ, გეკითხებიან: „იცით ქართული?“ — უარყოფითი პასუხის შემდეგ, გვეუბნებიან, რომ აუცილებლად უნდა ვისწავლოთ. აქ ჩამოსვლა მეგობრებმა მირჩიეს, რომლებმაც ეს უნივერსიტეტი და ქვეყნის წარმტაცი ბუნება მიქეს“.

სამედიცინო ინსტიტუტში არის შერეული ჯგუფებიც, სადაც უცხოელები ქართველებთან ერთად სწავლობენ და საერთაშორისო დიპლომს იღებენ. **„ჩვენს ჯგუფში არავინ არავის ამცირებს, ზოგადად, ასეთი ფაქტების შესახებ კი გვსმენია. შეიძლება აგდებული დამოკიდებულება ჰქონდეთ, ზოგადად, ჩამოსულის მიმართ“,** — ამბობს ქართველი ზაური.

მათი ჯგუფელი ბრაზილიელი ბიჭი, რომელიც კანის ფერით ჩვენგან არ გამოირჩევა, ამბობს: **„არ ვიცი, თუ მჭორავენ, რადგან ქართული არ მესმის. ისე კი ნორმალურად მეპყრობიან“.**

იმავე ჯგუფის ინდოელი სტუდენტი გოგონა **ტრიშიასთვის,** რომელიც საქართველომდე 7 უცხო ქვეყანაში იყო, მთავარი პრობლემა ენობრივი ბარიერია: „ამის გამო, თავს იზოლირებულად ვგრძნობ. ქართველები ძალიან ოფიციალურები არიან. თუმცა, ხაზს ვუსვამ: არასოდეს უხეშები. ადრე აშშ-ში, ჩინეთში (ჰონგ-კონგში), ტაილანდში, სინგაპურში, ეგვიპტეში, შრი-ლანკაში, ყატარში ვიყავი. აქ რომ ჩამოვედი, ჯგუფელების უმეტესობამ ძალიან ოფიციალურად მიმიღო. ინდოელები ზოგჯერ ძალიან მტრულად არიან განწყობილები უცხოელების მიმართ. ამერიკაშიც ზოგი აგრესიულია ჩასულებისადმი. მსგავსი რამ აქ არასოდეს მიგრძნია. ქართველებს საკმაო დრო სჭირდებათ, რომ დაგიახლოვდნენ. თუ მიგიღეს, ძალიან მეგობრულები არიან“.

პროფესორი **დავით თოფურია** უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის უფროსია. იგი უშუალოდ აგებს პასუხს სტუდენტებს შორის წარმოქმნილ უმცირეს კონფლიქტზეც კი: **„თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლობენ სტუდენტები მსოფლიოს 38 ქვეყნიდან. უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტში უკვე 8 წელია ვმუშაობ. არის მცირედი უთანხმოებები, მაგრამ არა რასობრივ ნიადაგზე. მიზეზები ბანალურია. მაგალითად, „წიგნი მთხოვა და არ დამიბრუნა“, ან „გამოცდაზე ჩემზე წინ შევიდა“... ჩვენ უნივერსიტეტში, რაც აქ ვმუშაობ, ნაციონალურ და რასობრივ ნიადაგზე არათუ ფიზიკური შეხლა-შემოხლა, სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტიც არ მახსენდება. მეგობრული ატმოსფეროა“.**

გაირკვა, რომ თბილისის სამედიცინო სახელმწიფო უნივერსიტეტში უცხოელი სტუდენტები 1996 წლიდან ჩამოდიან. კითხვაზე, რატომ აკეთებენ ასეთ არჩევანს, **დავით თოფურია** ამგვარად პასუხობს: **„არის ბევრი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან და ასევე, ჩვენი მეზობელი სახელმწიფოებიდან, სადაც სწავლა გაცილებით იაფია. მთავარი ფაქტორებია სწავლების მაღალი ხარისხი და უსაფრთხო გარემო. ჩვენთან სწავლა არ ნიშნავს მარტო იმას, რომ ისინი დაცული არიან უნივერსიტეტის ფარგლებში. ჩვენ მათ ყველა, მათ შორის, ყოფით ურთიერთობებშიც ვეხმარებით ნებისმიერი ბარიერის დროს. თუ დამცირების ფაქტი მოხდება, პოლიცია გვიკავშირდება. ზოგჯერ, ჩვენი უცხოელი სტუდენტები იმაზეც კი გვირეკავენ: სიცხემ ამიწია და რა წამალი დავლიოო“.**

ებრუ თურქი გოგონაა. იგი მომავალი ქირურგია და უკვე მეექვსე წელია, თბილისში ცხოვრობს: **„როცა ვლოცულობ, უფალს მადლობას ვუხდი, რომ აქ ჩამოვედი. უამრავი ქართველი მეგობარი შევიძინე. თუ თურქეთში არ დავბრუნდი, აქ ვიმუშავებ. უკვე ენაც ვიცი და საქართველოს ყველა დიდ ქალაქში ვარ ნამყოფი“.**

რა თქმა უნდა, არიან ევროპელებიც. ბევრს უკვე ქართველი მეუღლე ჰყავს. მაღალკურსელებს ქართული კარგად ესმით. თბილი ატმოსფეროა. კარგი იქნებოდა, ზოგადად, მთელ ქვეყანაში ასეთი მეგობრულად დამოკიდებულება იყოს უცხოელების მიმართ.

„ვერსია“ ინდოელების ფესტივალსაც შეესწრო, სახელწოდებით — „რივიერა“. იქ ნახავდით ქართველს, თურქს, კანადელს, გერმანელს, აფრიკელს... ეს ხელოვნების, ახალგაზრდობისა და მეგობრობის ნამდვილი ზეიმი იყო. მინი ბოლივუდი მათი სავიზიტო სიმღერითა და ცეკვით... თურმე, ინდოელები ქართველებს ასწავლიან თავიანთ ნაციონალურ ცეკვებს, თვითონ კი ქართულ ცეკვასა და სიმღერას ეუფლებიან.

ჩვენი პირველი რესპონდენტის, აჰმადის, მსგავსად, ჰასანიც ერაყელია. მას ქართველი შეყვარებული ყავს. მისი თანამემამულისგან განსხვავებით, უკვე გოგონას ოჯახშიც მიდის. სავარაუდოდ, როგორც ყველა ქვეყანაში, საქართველოშიც განსხვავებული რეაქციაა უცხოელების მიმართ, რაც ზოგადად, ცალკეული ინდივიდის ინტელექტზე, შეგნებასა და განათლებაზე მიუთითებს. სამედიცინო უნივერსიტეტის მაგალითზე, განსაკუთრებული საფუძველი იმისა, რომ საქართველოში რასიზმი მძვინვარებს, ჩვენდა საბედნიეროდ, არ არსებობს.

ემუქრება თუ არა მსოფლიოს წითელას ეპიდემია

რატომ მოიმატა საქართველოში დაავადების შემთხვევებმა და საჭიროა თუ არა განმეორებითი ვაქცინაცია

თამარ ლომსაძე
568-34-44-94

ინფექციური დაავადებები გაზაფხულზე რომ მწვავდება ფაქტია, თუმცა ბოლო რამდენიმე წელია, წითელა ზამთარშიც გვიტევს და საკმაოდ მაღალია დაავადებულთა რაოდენობაც. სხვათა შორის, საქართველო ამ მხრივ გამონაკლისი ნამდვილად არ არის. აი, მაგალითად, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ შემაშფოთებელი სტატისტიკა გამოაქვეყნა და განაცხადა, რომ შარშან წითელათი მსოფლიოში 146 ათასი ადამიანი გარდაიცვალა, რაც 2012 წლის მაჩვენებელზე 24 ათასით მეტია. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში თითქოს დაავადების პროგრესი ნაკლებად შეინიშნებოდა და ლეტალური გამოსავლის რაოდენობაც მნიშვნელოვნად იკლებდა, ამ ორ წელიწადში მსოფლიო ეპიდემიის ზღვარზე დადგა. **„2013 წლამდე იმუნიზაციის მსოფლიო კამპანიის წყალობით, სიკვდილიანობა მნიშვნელოვნად შემცირდა — 75%-ით, თუმცა ახლა ყველაზე დიდი აფეთქებები მოხდა კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ნიგერიაში, ჩინეთში, ასევე ევროპის რიგ ქვეყნებში — ხოლო სიკვდილიანობის 70% მოდიოდა ინდოეთზე, ნიგერიაზე, პაკისტანზე, ეთიოპიაზე, ინდონეზიაზე... ასეთი მაჩვენებელი ეჭვქვეშ აყენებს აქამდე არსებულ კვლევებსა და მიღწევებს ამ დაავადებასთან ბრძოლაში“,** — განაცხადა „იუნისეფის“ მრჩეველმა სამედიცინო საკითხებში **რობერტ კეზაალმა**, მიზეზად კი ვაქცინაციისადმი გულგრილი დამოკიდებულება, ებოლას ვირუსზე გადატანილი ყურადღება და კონფლიქტის ზონებში იმუნიზაციის არარსებობა დაასახელა.

რა ვითარებაა ამ მხრივ საქართველოში, გვაქვს თუ არა შეშფოთების საფუძველი და საჭიროა თუ არა განმეორებითი იმუნიზაცია? — ვერსია ექიმ ინფექციონისტს, **ნინო გაბისონიას** ესაუბრა:

— ბოლო რამდენიმე წელია წითელას შემთხვევები მართლაც გახშირდა საქართველოში და ყოველწლიურად, დაახლოებით, შვიდი ათასამდე შემთხვევა ფიქსირდება.

— რა არის ამის მიზეზი, ქალბატონო ნინო?

— ძირითადად, მიზეზი ვაქცინაციის კალენდრის დარღვევაა, თუმცა არაა გამორიცხული, ის ვაქცინები, რომელიც შემოდიოდა საქართველოში, ვერ ტოვებდა სრულფასოვან იმუნიტეტს. წითელას პირველი აცრა 1 წლის ასაკში კეთდება და ასეთ დროს იმუნიტეტი 90% უნდა იყოს, რაც განმეორებითი აცრის შემთხვევაში, უფრო მაღლდება.

— რამდენად სანდოა საქართველოში შემოსული ვაქცინა, მით უმეტეს, ამბობთ, რომ წითელათი ავადობის შემთხვევებმა საკმაოდ იმატა?

— ეს ინფორმაცია არ მაქვს, თუმცა გეტყვით, რომ დაავადებულთა შორის ძირითადად გვხვდება აუცრელი ბავშვები, ან მოზრდილები, რომელთაც არ ახსოვთ, აცრილები არიან თუ არა.

— მსოფლიოში საკმაოდ რთული ვითარებაა ამ მხრივ, ჩვენ რამდენად გვაქვს შეშფოთების საფუძველი?

— მოსახლეობა ცოტა თუ არ შეფუცხუნდა, არაფერი გამოვა — საჭიროა, დროულად აიცრას ბავშვი, რათა მოსალოდნელი გართულებები თავიდან ავიცილოთ.

— ქალბატონო ნინო, საკმაოდ ხშირად გვესმის რიგგარეშე აცრების შესახებ, თუ დგას ამის აუცილებლობა?

— თუ ბავშვს ჩატარებული აქვს გეგმური აცრა, არ არის დარღვეული კალენდარი, არ ეკუთვნის აცრა — არც სჭირდება და არც არავინ მოუწოდებს ამისკენ.

თუმცა ამის მიუხედავად საკმაოდ ხშირად გვესმის არაგეგმური აცრებისკენ მოწოდებები. ასეთ დროს ძნელი სათქმელია, რამდენად დგას ამის საჭიროება, თუმცა ერთი ფაქტი მახსენდება — 2008 წელს, ფორსმაჟორულ სიტუაციაში საქართველოში შემოსული წითელას ვაქცინა სავალალო აღმოჩნდა რამდენიმე ოჯახისთვის. ახლა ძნელია ვინმეს ამაზე პასუხი მოსთხოვო, მაგრამ იმ პერიოდში ვერაფრით გავიგეთ, სად შემოწმდა წამალი. შემდეგ კი გაირკვა, რომ ფორსმაჟორულ სიტუაციაში სახელმწიფო შემოსული პროდუქტის ხარისხზე პასუხისმგებელი არ არის და ეს, რა თქმა უნდა, ვაქცინასაც ეხებოდა. საინტერესოა, ახლა რამდენად ვართ დაცულები უხარისხო ვაქცინის შემოსვლისგან. „ვერსიამ“ კომენტარი ფარმაცევტული საქმიანობის დეპარტამენტს სთხოვა, სადაც განგვიცხადეს, რომ „ვაქცინებთან დაკავშირებით, მწარმოებელს ეკისრება კონტროლიცა და პასუხისმგებლობაც ხარისხთან მიმართებაში, ასევე მკაცრად კონტროლდება ტრანსპორტირებისას შენახვის პირობები“.

ირინა გაფრინდაშვილი: „მარნეულის სასურსათო ქარხნის მთავარი მიზანი იმპორტირებული პროდუქციის ჩანაცვლებაა“

M ნიშნით გამოშვებული პროდუქცია მომხმარებელმა უკვე დიდი ხანია აღიარა. უგემრიელესი მწნილი, ტკბილეული, საწებლები და ტომატისგან დამზადებული სხვადასხვა პროდუქცია გამორჩეულია იმ თვალსაზრისით, რომ ის მხოლოდ ადგილობრივი ნედლეულისგან მზადდება და მისი ძირითადი მომწოდებელი „მარნეული აგროა“, სადაც ახალ, ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებს ყოველწლიურად ნერგავენ. 100%-ით ქართულმა პროდუქტმა უკვე მნიშვნელოვნად ჩაანაცვლა იმპორტირებული პროდუქცია. ქარხანა, რომელიც ევროპული სტანდარტების მქონე დანადგარებითაა აღჭურვილი, 50-ზე მეტი დასახელების ქართული ნედლეულისგან დამზადებულ, ნატურალურ და გემრიელ საკონსერვო პროდუქციას უშვებს. 2014 წელი, „მარნეულის სასურსათო“ ქარხნისთვის გამორჩეული იყო. გაიზარდა პროდუქციის წარმოება და ამის მაგალითი, სარეალიზაციო ქსელში პროდუქციის მოცულობას ზრდის ტემპებია. კომპანიამ კიტრის მწნილისა და ტომატ-პასტის ასორტიმენტის ზრდასთან ერთად, კომპოტების გამოშვებაც დაიწყო.

„სოფლის მეურნეობა რთული და სპეციფიკური დარგია, რომელსაც ეტაპობრივი განვითარება, ევროპული გამოცდილების გაზიარება და უწყვეტი ინვესტიცია სჭირდება. განვითარებული ქვეყნების ინოვაციური მიდგომის გათვალისწინების გარეშე, ის პოტენციალიც განადგურდება, რაც დღეს არსებობს ქვეყანაში. „მარნეულის სასურსათო ქარხნისა“ და „მარნეული აგროს“ შვიდწლიანმა საქმიანობამ, ეს ნათლად დაგვანახა“, — გვიამბობს „მარნეულის სასურსათო ქარხნის“ დირექტორი, ირინა გაფრინდაშვილი.

2015 წელს ქარხანა ტრადიციული რეცეპტით მომზადებული სხვადასხვა პროდუქტის წარმოებას გეგმავს

— ქალბატონო ირინა, „მარნეულის სასურსათო ქარხნის“ მიზანი ადგილობრივ ბაზარზე იმპორტირებული პროდუქციის ქართულით ჩანაცვლება იყო, რისთვისაც წარმოების მოცულობის ზრდაც აუცილებელია. როგორი იყო, ამ მხრივ, 2014 წელი?

— მალე იმპორტს ქართული პროდუქციით სრულად ჩავანაცვლებთ და ეს მიღწევადია. კომპანიის გაყიდვები დღითიდღე იზრდება და ასორტიმენტსაც უფრო მეტად ვაფართოვებთ. „მარნეულის სასურსათო ქარხანა“ მომხმარებელს მუდმივად სთავაზობს ახალ პროდუქტებს. 2012 წლიდან შეგიძლიათ დააგემოვნოთ „მარნეულის სასურსათო ქარხნის“ მიერ წარმოებული ახალი პროდუქტი — „ლეჩო“, რომლის წარმოება წელს გაიზარდა. 2013 წლიდან, ქარხანამ უკვე კომპოტების გამოშვებაც დაიწყო. 2014 წელს, ასორტიმენტში დიდი ცვლილებები არ შეგვიტანია, რადგან აქცენტი ყველაზე მოთხოვნად პროდუქციაზე გავამახვილეთ, მაგრამ ვცდილობთ, ახალი პროდუქცია მომხმარებელს ყოველწლიურად შევთავაზოთ. სხვადასხვა ექსპერიმენტი 2014 წელსაც ჩავატარეთ, სამომავლოდ კი „მარნეულის სასურსათო ქარხნისგან“ სიურპრიზებს კვლავაც უნდა ველოდეთ. შეიძლება ითქვას, ჩვენი წილი იმპორტი ჩავანაცვლეთ, მაგრამ რაც მეტი ქართული საწარმო იქნება ქვეყანაში, მით მეტად დაიკავებს ქართული პროდუქცია იმპორტირებულის წილს ადგილობრივ ბაზარზე.

ყოველწლიურად, ვცდილობთ მოსავლიანობა და ქარხნის წარმოება მაქსიმალურად გავზარდოთ. 2013 წელთან შედარებით, კიტრის მოსავლიანობა 45%-ით გაიზარდა, შესაბამისად, წარმოებაც გაიზარდა, პომიდვრის მოსავლიანობაც გაორმაგებულია. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი მიზანი ნაწილობრივ მიღწეულია — იმპორტირებული პროდუქციაა ნაწილობრივ ჩავანაცვლეთ. პროდუქციის შეძენისას, მომხმარებელი უპირატესობას უკვე ადგილობრივ წარმოებას ანიჭებს და ეს ჩვენთვის დიდი სტიმულია. მაჩვენებლების ზრდის მიუხედავად, იმპორტირებული პროდუქციის ჩანაცვლება გრძელვადიანი და რთული პროცესია. დაკონსერვებული საკვები პროდუქტის 85%, საქართველოში უცხოეთიდან შემოდის და მხოლოდ 15%-ია ადგილობრივი წარმოება. ამიტომ ჩვენ გვჯერა, რომ ეროვნულ პროდუქტს ძალიან დიდი მომავალი აქვს საქართველოს ბაზარზე.

— 2013 წელს, თქვენი პროდუქცია ექსპორტზეც გავიდა, ანუ კომპანიამ უცხოურ ბაზრებზე ოპერირება, ლონდონში პოზიციების გამყარებით დაიწყო. 2014 წელი თუ იყო ამ მხრივ გამორჩეული?

— მოცემულ ეტაპზე, „მარნეულის სასურსათო ქარხანა“ მაინც ადგილობრივ ბაზარზეა ორიენტირებული. ამიტომაც 2014 წელი, ამ მხრივ გამორჩეული არ ყოფილა, თუმცა ექსპორტის მიმართულებით მუშაობას ვაგრძელებთ. ამის მაგალითია ის საერთაშორისო გამოფენები, რომლებშიც ვმონაწილეობთ. ეს არის უნიკალური შესაძლებლობა, ქართული პროდუქცია ათასობით უცხოელმა დააგემოვნოს. 2014 წელს, სამ მნიშვნელოვან გამოფენაზე გავემგზავრეთ, თებერვალში დუბაიში, საერთაშორისო გამოფენა Gulfood 2014-ზე ვიყავით, სადაც წარმოდგენილი იყო ჰოლდინგში შემავალი კომპანიების — „მარნეულის სასურსათო ქარხნისა“ და „წყალი მარგებელის“ პროდუქცია. Gulfood კვების მრეწველობის სფეროში უმსხვილესი გამოფენაა, რომელიც ყოველწლიურად, 5 დღის განმავლობაში, არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში იმართება. გამოფენაზე წარმოდგენილია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის, 4 500-ზე მეტი კომპანიის 20 000 ბრენდი, ხოლო დამთვალიერებელთა რაოდენობა 80 000-ს აღწევს. ჩვენი კომპანიები წელს პირველად ესწრებოდნენ გამოფენას საკუთარი სტენდით, სადაც დაინტერესებულ დამთვალიერებლებს საშუალება ჰქონდათ, დაეგემოვნებინათ „მარნეულისა“ და „წყალი მარგებელის“ პროდუქცია. გამოფენა წარმატებული გამოდგა, როგორც „მარნეულის სასურსათო ქარხნისთვის“, ასევე „წყალი მარგებელისთვისაც“, რადგან მსხვილო სავაჭრო ქსელებისა და საერთაშორისო სადისტრიბუციო კომპანიების წარმომადგენლებს შევხვდით.

სექტემბერში ლატვიაში, RigaFood 2014-ზე ვიმყოფებოდით, რომელიც ბალტიისპირეთის ქვეყნებში, ყველაზე დიდი გამოფენაა კვების მრეწველობაში. ლატვია პოსტსაბჭოური ქვეყანაა და მათ ჯერ კიდევ ახსოვთ ქართული პროდუქცია. კონკრეტულად ტყემალს, საწებლებს, აჯიკასა და მურაბებს ითხოვდნენ. ოქტომბერში ვმონაწილეობდით ჩინეთში, სიჩუანის პროვინციის ქალაქ ჩენგდუში, სასმელებისა და კვებითი მრეწველობის მე-15 საერთაშორისო გამოფენაზე (The 15-th Western China International Fair). ჩენგდუს გამოფენის ძირითადი მიზანია, წარმოაჩინოს თითოეული მონაწილე ქვეყნის ეკონომიკური და ტურისტული შესაძლებლობები. ღონისძიებამ შესაძლებლობა მოგვცა, დაგვემყარებინა კონტაქტი ადგილობრივ ბაიერებთან, რასაც ქართული პროდუქციის მასშტაბური პოპულარიზაცია მოჰყვება. მნიშვნელოვანია ისეთ სავაჭრო-ეკონომიკურ ღონისძიებაში მონაწილეობა, როგორიცაა Western China International Fair. ამ გამოფენის საშუალებით, შესაძლებლობა გვეძლევა, ჩვენი პროდუქცია 400 000-მდე ვიზიტორს გავაცნოთ, სადაც პროფესინალი ტრეიდერების რიცხვი 20 000-ზე მეტია. შესაბამისად, ბუნებრივად გამორჩეული ქართული პროდუქციის ხარისხისა და გემოს შეფასების საშუალება, უფრო ფართო აუდიტორიას ეძლევა.

— 2013 წელს, კიტრის მწნილის წარმოების მხრივ, „მარნეულის სასურსათო ქარხანამ“ რეკორდული მაჩვენებელი, 2 000 000 ქილა დააფიქსირა ერთ სეზონზე. როგორ შეაფასებთ 2014 წლის წარმოებას?

— შარშანდელთან შედარებით, 2014 წელს, ნედლეულის რაოდენობა და ქარხნის წარმოება საკმაოდ გაიზარდა. წელს განსაკუთრებული ყურადღება კიტრის წარმოებაზე გავამახვილეთ. საკმაოდ საინტერესო პროდუქტი აღმოჩნდა ტყემალი, რადგან მისი ჩაბარებაც და წარმოებაც გაიზარდა. ქარხანას ნედლეულით, 150-მდე ადგილობრივი ფერმერი და საკუთარი მეურნეობა, „მარნეული აგრო“ ამარაგებს. „მარნეული აგრო“, მარგებელი ჰოლდინგის ნაწილია, რომელიც ერთ-ერთი წამყვანი კომპანიაა სოფლის მეურნეობის დარგში. კომპანია ფლობს მიწის ნაკვეთებსა და ჩითილების წარმოების სასათბურე მეურნეობას გარდაბანსა და მარნეულში. „მარნეულის სასურსათო ქარხანას“ ნედლეულით სწორედ „მარნეული აგრო“ ამარაგებს. ეს იმის გარანტიაა, რომ ქილაში ჩადებული თითოეული პროდუქტი, ქართულ მიწაზეა მოყვანილი. ჩვენი პოლიტიკა ასეთია — პროდუქციას ჩვენივე მიწებიდან უნდა გვაწვდიდნენ. აქედან გამომდინარე, დაგეგმარება „აგროსა“ და ქარხანას შორის, ერთობლივად იწყება. მიგვაჩნია, რომ ადგილობრივი ნედლეულით პროდუქციის წარმოება, უპირველესად, ეკონომიკის გაძლიერებას შეუწყობს ხელს. მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს, ნატურალური, 100%-ით ქართული პროდუქცია შეიძინოს.

— გამოირჩეოდა თუ არა მნიშვნელოვანი ვიზიტებით 2014 წელი?

— „მარნეულის სასურსათო ქარხანას“ სხვადასხვა ქვეყნის ელჩი სტუმრობდა. 2014 წლის დასაწყისში, ქარხანას ისრაელის სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, იუვალ ფუქსი ესტუმრა. სტუმარი ადგილზე გაეცნო ქარხნის მუშაობას, საწარმოში არსებულ მდგომარეობას და ადგილობრივი პროდუქციაც დააგემოვნა. ასეთი სახის ვიზიტები ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. რამდენიმე მნიშვნელოვანი ვიზიტი იყო ჰოლანდიის საელჩოდან. წლის განმავლობაში, არაერთხელ ესტუმრა ქარხანას შვეიცარიის საელჩოს დელეგაცია, რომელსაც ელჩი ხელმძღვანელობდა. 2014 წელს, სოფლის მეურნეობის ტურებიც გაგრძელდა, რომლის ფარგლებშიც, მომხმარებელს შესაძლებლობა ჰქონდა, საკუთარი თვალით ენახა საწარმოო პროცესი — მიწიდან ქილამდე.

— 2013 წელს, პირველად ჩატარდა ქვეყანაში „მწნილისა და მურაბის ფესტივალი“ და ამ მხრივ, გამორჩეული იყო 2014 წელი, რადგან საქართველოს სხვა რეგიონებშიც გახვედით...

— ეს მართლაც პირველი შემთხვევა იყო, როდესაც დედაქალაქში „მარნეულის მწნილისა და მურაბის ფესტივალი“ გაიმართა. ფესტივალის სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ, „მარგებელი ჰოლდინგის“ პროდუქცია დაეგემოვნებინათ. 2014 წელს, ეს ფესტივალი საქართველოს 12 დიდ ქალაქში გაიმართა, რომელიც „თბილისობის“ დღესასწაულზე დედაქალაქში დასრულდა. ჩვენი მთავარი მიზანი იყო, ახლოს მივსულიყავით მომხმარებელთან და გვეჩვენებინა, რომ ჩვენი პროდუქცია, 100%-ით ქართულ ნედლეულზეა დამზადებული. „მწნილისა და მურაბის“ ფესტივალი ტრადიციად იქცა, რომელიც 2015 წელსაც გაგრძელდება.

— რა გეგმები გაქვთ 2015 წელს?

— მომავალი წლისთვის ვგეგმავთ მაქსიმალურად გავზარდოთ მიღებული ნედლეულის რაოდენობა და წარმოების მოცულობა, რათა ფართო ასორტიმენტისა და სტაბილური მიწოდების შესაძლებლობა უზრუნველყოთ. 2015 წელი, გამორჩეული იქნება და საექსპორტო პოტენციალიც გაიზრდება. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ტრადიციული რეცეპტით მომზადებულ, სხვადასხვა პროდუქტის წარმოებასაც ვგეგმავთ.

მანდატურის სამსახური – სკოლებში უსაფრთხოების გარანტი

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

მანდატურები სკოლებში — ამ სიახლემ, თავის დროზე, საქართველოში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. პრინციპში, მოსალოდნელიც იყო, რადგან ნებისმიერ რეფორმას საზოგადოება ყოველთვის მტკივნეულად აღიქვამს მანამ, სანამ არ დადგება სასურველი შედეგი. მანდატურის სამსახურის შექმნის შედეგი კი დღეს ერთ წინადადებაში შეიძლება ჩავატიოთ — სკოლაში სამართალდარღვევათა რაოდენობა მკვეთრად შემცირდა! და რადგან, საგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხო გარემოს შექმნა ნებისმიერი მშობლის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა და სურვილია, თამამად შეიძლება ითქვას, რეფორმამ გაამართლა. თუმცა, აქაც, როგორც ნებისმიერ სხვა სიახლეში, გარკვეული ხარვეზები და გადაცდომები იყო, რაც უკვე გამოსწორდა. მაგალითისთვის, ყბადაღებული საკითხი, მანდატურების გადამეტებული უფლებებიც კმარა — ისინი, ვინც გვიმტკიცებდნენ, ამ სამსახურის არსებობა სულაც არაა საჭიროო, მუდმივად აპელირებდნენ, რომ მანდატურებს სკოლის შინაგანაწესის კონტროლი ევალებოდათ. ეს კი ნიშნავდა, რომ მათ სკოლის პერსონალის გაკონტროლებაც შეეძლოთ, რაც მოსწავლეების თვალში დირექტორისა თუ პედაგოგების იმიჯისშელახვად მიიჩნია ბევრმა. შენიშვნა სამართლიანი იყო და 2012 წლიდან მანდატურების უფლება-მოვალეობები შეიცვალა — დღეს ისინი აღარ ერევიან სასწავლო პროცესში, არ აკონტროლებენ დირექტორსა თუ მასწავლებლებს და მათი ძირითადი ფუნქცია მოსწავლის, სკოლის ადმინისტრაციისა და პედაგოგების უსაფრთხოების დაცვაა. არის სხვა სიახლეებიც — სამსახურში უკვე ფუნქციონირებს ფსიქოლოგიური ცენტრი და პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სამმართველო.



როგორ შეიცვალა მანდატურის ფუნქციები და რატომ შემცირდა სამართალდარღვევები

მანდატურები სხვადასხვა საქველმოქმედო აქციასაც ხშირად აწყობენ. რამდენიმე დღის წინ, საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი კილაძე, „ლიბერთი ბანკის“ წარმომადგენლებთან ერთად, ბერი ანდრიას სახელობის ფონდს ეწვია და სოლიდური სიმსივნით დაავადებულ პატარებს საახალწლო საჩუქრები, საყოფაცხოვრებო ტექნიკა გადასცა. მანამდე, ხელდამშვენებული მანდატურები იაშვილის სახელობის კლინიკასაც ესტუმრნენ, საქველმოქმედო ფონდ „მომავლის გზასაც“, სადაც სოციალურად დაუცველი და უდედმამო ბავშვები ცხოვრობენ და „კათარზისში“ მოხუცებიც მოინახულეს... საქველმოქმედო აქციების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს და, რადგან, როგორც იტყვიან, ზოგადად, ქველმოქმედებას „ბევრი ხმაური არ უყვარს“, იმ ცვლილებებს გაგაცნობთ, რომლებიც მიმდინარე წელს მანდატურის სამსახურში გატარდა.

რა ფუნქციას ასრულებენ დღეს სკოლებში მანდატურები? რა უფლებები აქვთ მათ? როგორ ზრუნავენ მოსწავლეების უსაფრთხოებაზე და როგორ ეხმარებიან ბავშვებს პროფესიის სწორად შერჩევაში? ეს ის კითხვებია, რომელიც ალბათ ნებისმიერ მშობელს აინტერესებს. მანდატურის სამსახურის ხელმძღვანელის, **ვახტანგ მეიფარიანის** განმარტებით: **„წელიწადნახევრის წინ დაიწყო მანდატურის სამსახურის რეორგანიზაცია — შეიცვალა მისი ფუნქცია-მოვალეობები, მანდატურები აღარ აკონტროლებენ დირექტორსა თუ მასწავლებლებს. მათი ძირითადი ფუნქცია სკოლაში უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფაა. ამაზე კი, დღეს, საქართველოს მასშტაბით 1200-მდე მანდატური ზრუნავს და აღკვეთს საგანმანათლებლო ტერიტორიაზე გამოვლენილ სამართალდარღვევებს, რომელთა რაოდენობა, სასწავლო დაწესებულებებში მანდატურის შესვლის შემდეგ, საკმაოდ შემცირდა. მანდატურები ასევე ზრუნავენ ტერიტორიაზე მოსწავლეთა მიერ ცივი და ცეცხლსასროლი იარაღის ტარებისა და ალკოჰოლური თუ ნარკოტიკური საშუალებების გავრცელების აღმოფხვრაზე. მათვე ევალებათ საგანგებო სიტუაციებში მოსწავლეთა თუ სტუდენტთა, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულებების პერსონალის დაცვა და ევაკუაცია“.**

მოვალეობის ეფექტურად შესრულებაში საქართველოს მანდატურებს ამერიკელი კოლეგების ტრენინგებიც ეხმარება — აშშ-ს სკოლის მანდატურთა ეროვნული ასოციაცია NASRO ფლორიდის სამართალდამცავ ოფიცერთა ასოციაციის წევრების მიერ 1991 წელს ჩამოყალიბდა. ასოციაცია სერტიფიცირებული სამართალდამცავი ოფიცრების, სკოლის უსაფრთხოებისა და საგანმანათლებლო პერსონალის, მათ შორის, მასწავლებლებისა და სკოლის ადმინისტრატორების უმსხვილესი სასწავლო ორგანიზაციაა მსოფლიოში, რომელიც სამართლებრივ განათლებასთან დაკავშირებულ ინოვაციურ მიდგომებს ნერგავს და სკოლის უსაფრთხოების ოფიცერთა პროგრამებს პოპულარიზაციას უწევს, როგორც აშშ-ში, ასევე მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. მანდატურთა ეროვნულ ასოციაციას ხშირად მიმართავენ მნიშვნელოვანი ეროვნული და რეგიონული საკითხების განსახილველად. ვახტანგ მეიფარიანის განმარტებით, საქართველოს მანდატურის სამსახური „ნასროსთან“ 2011 წლიდან აქტიურად თანამშრომლობს: **„მანდატურის სამსახურის წარმომადგენლები ესწრებიან ასოციაციის მიერ ორგანიზებულ ყოველწლიურ სემინარებს. 2012 წელს ბათუმში, 2013 წელს კი თბილისში, ჩვენი სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა საერთაშორისო კონფერენციები, რომლებიც ეძღვნებოდა „უსაფრთხო სკოლის“ კონცეფციას. კონფერენციების ფარგლებში, ამერიკელმა ინსტრუქტორებმა ტრენინგკურსები ჩაატარეს. წელსაც, „ნასროს“ დელეგაცია, ოქტომბერში ეწვია საქართველოს. ოთხმა ამერიკელმა ინსტრუქტორმა ჩვენ მანდატურებს ერთკვირიანი ტრენინგები ჩაუტარა. საინტერესო დისკუსიები გაიმართა, მანდატურებმა მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიიღეს“.**

საქართველოს მანდატურებმა ტრენინგები ფსიქოლოგებთანაც გაიარეს. ვახტანგ მეიფარიანის განმარტებით, ეს სიახლე კონტროლზე ორიენტირებული მიდგომების, ზრუნვაზე ანუ პრევენციაზე ორიენტირებული მიდგომებით ჩანაცვლების ფარგლებში განხორციელდა — მანდატურების მხრიდან პრობლემის განხილვა ფსიქო-სოციალურ ჭრილში ხდება, რაც მოსწავლისა და სკოლის პერსონალის არა მხოლოდ ფსიქიკურ უსაფრთხოებაზე, არამედ ჯანსაღი ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნაზე ზრუნვა გახლავთ. ამ მიზნით, მანდატურის სამსახურში, უკვე ფუნქციონირებს ფსიქოლოგიური ცენტრი.

ფსიქოლოგიური დახმარება უსასყიდლოდ

„საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, საგანმანათლებლო დაწესებულების ფსიქოლოგიური ცენტრის ამოქმედებამ საშუალება მოგვცა, გავუწიოთ ფსიქო-სოციალური მომსახურება ფსიქოლოგიური პრობლემებისა და ქცევითი დარღვევების მქონე პირებს, მათი ოჯახის წევრებსა და მასწავლებლებს. ფსიქოლოგიურ ცენტრში საპილოტე პროგრამის ფარგლებში გადამზადდა ჩვენი სამსახურის ყველა მანდატური, რომლებმაც ტრენინგები გაიარეს შემდეგ საკითხებზე: ბავშვთა ასაკობრივი თავისებურებანი, კომუნიკაცია, ფსიქოლოგიის საფუძვლები, მედიაცია, კონფლიქტოლოგია, ტრავმა, პათოფსიქოლოგიის საფუძვლები, ადამიანთა უფლებების საყოველთაო დეკლარაცია, საგანგაშო სიმპტომები, მოკლე რეპორტების წერის უნარი, ძალადობის შემთხვევაში ბავშვების რეფერირების პროცედურები“, — აცხადებს მანდატურის სამსახურის ხელმძღვანელი **ვახტანგ მეიფარიანი** და განმარტავს, რომ ფსიქოლოგიური გადამზადების შემდეგ, მანდატურებმა შესაბამისი ტესტირებაც გაიარეს. ფსიქოლოგიურ ცენტრში მულტიდისციპლინური გუნდი მუშაობს, რომელშიც დასაქმებულები არიან კონკურსის წესით შერჩეული მაღალკვალიფიციური ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები და ბავშვთა ფსიქიატრები.

ხელმძღვანელის, ქეთი კაპანაძის განმარტებით, ცენტრი, უფასო, კვალიფიციურ, ფსიქო-სოციალურ მომსახურებას სთავაზობს 6-დან 18 წლამდე ქცევითი და ემოციური პრობლემების მქონე ბავშვებს, მოზარდებსა და მათ ოჯახებს: **„ფსიქოლოგიურ ცენტრში მოსწავლეთა გადმომისამართება ხდება მანდატურის მიერ სკოლის ადმინისტრაციის, მასწავლებლისა და მშობლის თანხმობის შედეგად შევსებული მომართვის ფორმის საფუძველზე და თვითდინებით. მანდატურის მიერ იდენტიფიცირებულ და ჩვენთან გადმომისამართებულ მოსწავლეს, ვთავაზობთ ფსიქოლოგიური პრობლემების მოგვარებას, კონფლიქტის მედიაციას, მასწავლებლების, ოჯახის წევრების, თანატოლების მხრიდან ძალადობის მსხვერპლი ბავშვების პოსტტრავმული სტრესის შედეგის დაძლევის ხელშეწყობას“.**

ცენტრში სპეციალური ოთახები ფუნქციონირებს ინდივიდუალური და ჯგუფური თერაპიისთვის. მშობლებს ასევე უტარდებათ ფსიქოსაგანმანათლებლო ტრენინგები. საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეთა გადამისამართება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველოში ან სოციალურ სააგენტოში.

ქეთი კაპანაძე: „ძალიან ბევრი მშობელი მოგვმართავს. ფსიქოლოგიური თუ ქცევითი პრობლემები პატარა ასაკშიც ხშირია და განსაკუთრებით, გარდატეხის პერიოდში. ხშირია სუიციდის ან უფრო მეტად, თვითდაზიანების მცდელობა. ზოგადად, პრობლემას ის ქმნის, რომ მშობლებს მუდმივად არ სცალიათ, ბავშვებს ყურადღება და სითბო აკლიათ, ოჯახის წევრები, უმეტესად, მძიმე ემოციურ მდგომარეობაში არიან. ხშირად ბავშვი სახლსა და სკოლაში, რადიკალურად სხვადასხვაგვარად იქცევა. ამ დროს, ძალიან მნიშვნელოვანია მანდატურის როლი — სწორედ ისინი ამჩნევენ პრობლემას. არის შემთხვევები, როცა მდგომარეობა ისეთი მძიმეა, ფსიქიატრის ჩარევა და მედიკამენტოზური მკურნალობაცაა საჭირო. ნებისმიერ შემთხვევაში, კონსულტაციას მშობლებსაც ვუწევთ, რათა შვილებთან ურთიერთობა გაუადვილდეთ და პრობლემა ერთად დაძლიონ“.

ვახტანგ მეიფარიანის განმარტებით, ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი მოქმედებს თბილისში, ბათუმში, ქუთაისსა და ფოთში. უახლოეს მომავალში გახსნა იგეგმება ზუგდიდსა და ფოთშიც.

დახმარება პროფესიის სწორად არჩევაში

საკუთარი შესაძლებლობებისა თუ უნარების სწორად გაანალიზება და შემდეგ, პროფესიის სწორად არჩევა საკმაოდ რთულია. ამ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებაში მოსწავლეებს მანდატურის სამსახურიც ეხმარება — ვახტანგ მეიფარიანის განმარტებით, სამსახურში 2013 წლის ნოემბრიდან, ხორციელდება პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამა, რომლის მიზანია, IX-XI კლასელეებს დაეხმარონ, საკუთარი ინტერესების, უნარებისა და პიროვნული მახასიათებლების გაცნობიერების შედეგად გაერკვნენ პროფესიულ ორიენტაციაში. პროგრამა, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე, საპილოტეა, თუმცა მასში, უკვე ჩართულია 482 სკოლა. პროგრამა ჯერჯერობით მხოლოდ მეცხრე კლასებში ხორციელდება და მის ფარგლებში უკვე გადამზადდა 700-ზე მეტი დამრიგებელი — მათ შესაბამისი ტრენინგებიც ჩაუტარდათ და გაკვეთილების მკაცრად განსაზღვრული მოდულებიც მიეწოდათ. მოსწავლეებს კი, ჩაუტარდათ ჰოლანდიის თვითსაკვლევი ტესტი, რომელიც ადაპტირებულია საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ.

პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, **თეა ტყემალაძის** განმარტებით: **„პროგრამა მოიცავს 3 ტიპის აქტივობას. პირველი — შესაბამის გაკვეთილს თვეში ერთხელ ატარებს დამრიგებელი. ეს გაკვეთილები ძალიან მოსწონთ ბავშვებს. აღმოჩნდა, რომ მათ ძალიან აინტერესებთ ინფორმაცია პროფესიებისა და ჩვენ ქვეყანაში არსებული შესაძლებლობების შესახებ. მოსწავლეებს ვეხმარებით განივითარონ ისეთი უნარები, როგორიცაა პრეზენტაციის გაკეთება, გუნდური მუშაობა, გადაწყვეტილების მიღება... რაც საბოლოოდ, მათ პროფესიის მაქსიმალურად სწორად შერჩევაში დაეხმარება. მეორე აქტივობაა ჯგუფური ექსკურსიები — ინტერესების მიხედვით დაჯგუფებული ბავშვები შესაბამის დაწესებულებებში მიგვყავს. მაგალითად, ვისაც ექიმობა სურს, რომელიმე კლინიკას დაათვალიერებს, პროფესიონალებს გაესაუბრება... მესამე აქტივობა კი, გაფართოებული შეხვედრებია — მოწვეული პროფესიონალები თავისი პროფესიის ერთგვარ პრეზენტაციას მოახდენენ. აუხსნიან ბავშვებს რა უნარებს უნდა ფლობდე, რომ ამ სფეროში წარმატებული გახდე, რა საგნებს უნდა სწავლობდე კარგად, რა არის ამ პროფესიის დადებითი თუ უარყოფითი მხარეები. მაგალითად, მათ ვისაც ადვოკატობა სურს, წარმატებული ადვოკატი, ამ პროფესიის დადებით მხარეებთან ერთად, იმის შესახებაც მიაწვდის ინფორმაციის, როგორი რუტინული შრომა უწევს ყოველდღე. პრეზენტაციის შემდეგ, პროფესიონალები ბავშვების შეკითხვებსაც უპასუხებენ“.**

თეა ტყემალაძის განმარტებით, მათი სამმართველო წარმატებით თანამშრომლობს, არაერთ უწყებასთან. საპილოტე პროგრამის მიმდინარეობისას, უკვე გამოიკვეთა ტენდენცია — თანამედროვე მოზარდებს განსაკუთრებით აინტერესებთ მედიცინა, არქეოლოგია და ფსიქოლოგია. თუმცა, ყველაზე პოპულარული პროფესია, იურისტობაა, განსაკუთრებით რეგიონებში, სადაც მოსწავლეთა 80%ოცნებობს გახდეს საპატრულო პოლიციის თანამშრომელი. **„როგორც ჩანს, პოლიციელობა მათთვის სამართლიანობის აღდგენასა და გარკვეულ ძალაუფლებასთანაც ასოცირდება. ამ ფონზე, ყველაზე ხშირად წერილებს შინაგან საქმეთა სამინისტროში ვწერთ და ბავშვები ექსკურსიებზე ხშირად მიგვყავს“,** — აცხადებს **თეა ტყემალაძე** და იმასაც განმარტავს, რომ ახალი სასწავლო წლიდან პროგრამა საქართველოს მასშტაბით ყველა სკოლაში, IX და XI კლასებში, ამოქმედდება. შესაძლოა გარკვეული ცვლილებით — დამრიგებლების ნაცვლად, წინასწარ შერჩეული მასწავლებლები გადამზადდნენ. თეა ტყემალაძის თქმით, ეს უფრო სასურველი და პრაქტიკული ვარიანტია, თუმცა არა გადამწყვეტი — დამრიგებელი თუ სხვა მასწავლებელი, 2015 წლის სექტემბრიდან, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილებს აუცილებლად ჩაატარებენ. მშობლებს კი ეცოდინებათ, რომ მანდატურის სამსახური, სკოლებში მხოლოდ უსაფრთხოებაზე კი არა, მათი შვილების ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზეც ზრუნავს და მოსწავლეებს, ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებაშიც ეხმარება.



1. ცხენოსანი ჯარი
2. პარლამენტის თავმჯდომარე
3. ყველაზე პატარა ჩიტი
4. ქვეყანა საქართველოს აღმოსავლეთ აზიაში
5. ლიმონის მონათესავე მცენარე
6. საქართველოს პოლარული ფრინველი
7. ქალის სასიძეერო ხმა
8. იტალიელი კომპოზიტორი
9. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში
10. გახურებული საგნიდან ანადენი ორთქლი
11. ზეზვას და მზიას „მშობლიური“ ქალაქი
12. მამაკაცის ვარცხნილობის ტიპი
13. ავი, ანჩხლი დედაკაცი
14. თურქმენეთის დედაქალაქი
15. აგენტი 007
16. დასაწვავად დაპობილი ხეები
17. პოსტნის მავნებელი მწერი
18. უბანი თბილისის ცენტრში
19. ვიოლინოს მსგავსი საკრავი
20. ფრანგი მსახიობი ... დელონი
21. მსახიობი ... ტაილერი
22. გადაბრუნებული ტყავი
23. შლიმანის მიერ აღმოჩენილი ქალაქი
24. გოეთეს შემოქმედების მწვერვალი
25. ანგორული თხის მატყლი
26. ბატების მოსასხმობი შეძახილი
27. სუმოს საჭიდაო მოედანი
28. რისამე თხელი, სიფრიფანა კანი
29. პანტომიმის მსახიობი
30. ცხენოსანი ჯარის ოფიცერი უნგრული ფორმით
31. სვეტებიანი გალერეა
32. ქვის ღობე
33. ინგლის. სიგრძის საზომი ერთეული
34. გარეული ღორი
35. მდინარე კიევში
36. ფუტკრის სახლი
37. ყინულის მთა ოკეანეში
38. არარატის მთის სომხური სახელწოდება
39. ფრანგული ყველის სახეობა
40. მონა ქალი ბრაზილიური ტელესერიალიდან
41. თებეს ლეგენდარული მეფე
42. შიშველი სხეული ფერწერაში
43. ციური სხეულის სამოძრაო გზა
44. აშშ-ის ტელეპრემია
45. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი
46. „ფიატის“ მოდელი
47. პალესტინის ექსლიდერი ... არაფატი
48. ცრუ სწავლება ქრისტიანობაზე
49. სახურავიანი ხის ყუთი
50. კრივის მოედანი
51. ძვ. სიგრძის ერთ.
52. ბაჰამის კუნძულების დედაქალაქი
53. ქიმიური ელემენტი, მეტალი
54. ფეხბურთელ მეტრეველის სახელი
55. გერდას მეგობარი „თოვლის დედოფალში“
56. რქებდახრილი ხარი
57. რუმინეთის ეროვნული ვალუტა
58. ჰოლივუდის ლეგენდა მარლენ ...
59. პლანეტა იუპიტერის ძველქართული სახელწოდება
60. მადრიდის „რეალის“ ექსკაპიტანი
61. სუსტი ქარი, ნიავი
62. ამერიკელი მსახიობი ჩაკ ...
63. ინდოეთის ფულის ერთეული
64. ჭიდაობის ილეთი
65. მხარე რუსეთში
66. ძვ. რუს. სიგრძის ერთეული
67. ტაბურეტი რბილი მრგვალი დასაჯდომით
68. ბრინჯის კერძი
69. აბრეშუმის ქსოვილი
70. მამალი კვიცი
71. „... ჭკუისაგან“
72. სახელმწიფოს ერთ-ერთი ატრიბუტი
73. ფრანგული ლიქიორი
74. ლონდონის საათი „...-ბენი“
75. კვერნისებრთა ოჯახის ცხოველი
76. წონის ერთეული ლათინ. ამერიკ. ქვეყნებში
77. ყველაზე მაღალი ხიდი მსოფლიოში
78. ერთერთი აფრიკული ენა
79. დაბალი და ფართო დივანი
80. თურქული მარგარინის მარკა
81. ჯანი როდარის ხასვისთავიანი ბუშნა
82. წამლის ბურთულა
83. ისტორიის მუზა
84. ცხენის კუდის ბეწვი
85. პეპი გრძელიწინდას მეგობარი გოგონა
86. ინდიელთა ტომი
87. სუბტროპიკული ხილი
88. რუსეთის დომენი ინტერნეტში
89. ქალაქი ფილიპინებზე
90. მუსიკალური გამის VI ნოტი

ყავის ნაცვლად დენს სთავაზობენ

ამერიკელმა სამხედროებმა ჩვეულებრივი ყავისა და ენერგეტიკული სასმელის შემცვლელის მოძიება გადაწყვიტეს. პრობლემა ისაა, რომ სადარაჯოზე ჯარისკაცები ყოველთვის მხნედ და ტონუსში უნდა იყვნენ — ადგილს, რომელსაც იცავენ, საგულდაგულოდ უნდა ათვალიერებდნენ. გაირკვა, რომ ამ სასმელების ნაცვლად, მათ შეუძლიათ უბრალოდ ელექტროენერგია გამოიყენონ. ბიომედიკოსი ენდი მაკინლი ამბობს, რომ მისი კვლევის შედეგები ამის თვალსაჩინო მაგალითია. ექსპერიმენტისას სპეციალისტმა მოხალისეების ორი ჯგუფი გამოიყენა, ერთის წევრები კოფეინს იღებდნენ, სხვები კი ორგანიზმს ელექტრობით აფხიზლებდნენ. შედეგად გაირკვა, რომ სასმელი ორჯერ ეფექტური, მაგრამ მათი მოქმედება ძალიან ხანმოკლე იყო. ვინც საკუთარ თავზე დენის ძალა გამოსცადა, ბევრ ამოცანას უკეთ გაართვა თავი, ვიდრე სხვა ჯარისკაცებმა. გარდა ამისა, ექსპერტები ერთხმად აცხადებენ, რომ ზომიერი ელექტროსტიმულაცია საშუალებას იძლევა, კოფეინისგან გამოწვეულ გვერდით მოვლენებს თავი ავარიდოთ. თუმცა, როგორც ამბობენ სიფხიზლის ასეთი მეთოდის გამოყენებას არმიაში არ აპირებენ.

სუდოკუ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

7	1						3	
	6	3	4	7		1		
			1	3				
2				6		3		
8			3		1			9
		4		9				6
				5	6			
		2		1	3	6	5	
	3						8	1

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

4		7	5		2			
5	8							
		9	8		6			
1	9						6	
8				1				5
	5						7	1
			6		8	4		
							8	7
			9		7	5		2

ᲠᲗᲣᲚᲘ

3			1					6
1					2	9		
				6	7			2
	6	5						1
	4						5	
8						4	2	
7			8	3				
		9	7					8
4					1			3

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

3	5		8			2		1
			4	3				
					9		5	
	9		7		4			2
	7						9	
4			5		8		7	
	2		1					
				8	2			
6		5			3		2	8

სტრესი უძვირესი დესერტით ამოიწურა

ბრიტანელმა კარლ ვაინინგერმა, რომელიც ბრილიანტების გაყიდვით არის დაკავებული, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული დესერტი — შოკოლადის პუდინგი შეიძინა, რომლის ღირებულებაც 34 ათას დოლარს აღემატება (22 ათასი გირვანქა სტერლინგი). ამ ექსტრავაგანტური ტკბილეულით ყელის ჩაკოკლოზინება, რაც ერთი ახალი უცხოური მარკის ავტომობილის ფასია, 60 წლის ბიზნესმენმა სტრესის მოსახსნელად გადაწყვიტა. საქმე ისაა, რომ 60 წლის იუბილემდე იგი მეგობარმა ქალმა მიატოვა, რომელსაც ბიზნესმენი სამი წელი ხვდებოდა. როგორც თავად ვაინინგერი აცხადებს, დესერტი განწყობის გამოსაკეთებლად იყიდა. ამან მართლაც ამიმაღლა განწყობა, — აღიარებს იგი. აღსანიშნავია, რომ ეს მდიდრული პუდინგი ფაბერჟეს კვერცხის ფორმაშია გამომცხვარი და საკვებად ვარგისი ოქროს მინანქრითაა დაფარული, ასევე მას ამშვენებს მარწყვისა და შამპანურის „ნაპერწკლები“ და ორკარატიანი ბრილიანტი. ეს უნიკალური დესერტი კულინარმა მარკ გილბერტმა შექმნა.



ვისაც თვალის ფერის შეცვლა სურს

ასეთ ადამიანებს შეუძლიათ, ნიუ იორკის კლინიკის Island Eye Surgicenter მკვლევარებს მიაკითხონ. სწორედ მათ შეიმუშავეს თვალის ფერის შეცვლის მეთოდი, რომელსაც მცირე დრო — სულ 15 წუთი სჭირდება. ოპერაციისას, თვალში პატარა ჭრილის მეშვეობით, უთხელესი სილიკონის იმპლანტი შეჰყავთ, რომელიც თვალის ფერადი გარსის ფერს ცვლის. პროცედურა მცირე ხანს გრძელდება და ადგილობრივი ანესთეზიით ტარდება. ხელოვნური იმპლანტების გამოყენებას მკვლევარები ურჩევენ გარკვეული დაავადებების დროს, კერძოდ, ჰეტროქრომიისას. სიახლის გამოყენება კოსმეტოლოგიური თვალსაზრისითაც იქნება შესაძლებელი. ვისაც საკუთარი თვალის ფერი არ მოსწონს, შეუძლია, იმპლანტის მეშვეობით შეცვალოს და თუ პაციენტი ოპერაციის შემდგომაც უკმაყოფილო დარჩება შედეგით, იმპლანტის ამოღება უპრობლემოდ შეეძლება.

კაფეში დასაძინებლად დადიან

იაპონიის დედაქალაქში ახალი კაფე გახსნეს, რომელიც ტოკიოში მცხოვრები სუსტი სქესის წარმომადგენლებზეა გათვლილი. სწორედ მათთვის, ვისაც სურს, შესვენება სამსახურში მაქსიმალურად სასარგებლოდ გამოიყენოს და ერთი საათით წაუძინოს. ეს ორიგინალური კაფე სულ რამდენიმე დღის წინ გაიხსნა ტოკიოს ცენტრში, სადაც კლიენტებს (დაწესებულების მფლობელების ჩანაფიქრით, აქ მამაკაცები არ დაიშვებიან) სთავაზობენ ცოტა წაძინებას მძიმე სამუშაო დღის განმავლობაში ან მის შემდეგ. მომსახურების ღირებულება საათობრივია: აქ გატარებული ყოველი 10 წუთი 150 იენი (1,5 დოლარი) ღირს. ამ თანხით შეუძლიათ ასევე ძილისთვის აირჩიონ ათეულობით ბალიშიდან ერთ-ერთი, ცოტა წაიხემსონ და მაკიაჟი გაიკეთონ. აღსანიშნავია, რომ ამომავალი მზის ქვეყანაში ეს პირველი დაწესებულება არ არის, რომელიც კლიენტებს ძილს სთავაზობს. 2012 წელს ტოკიოში კაფე გაიხსნა, სადაც 100 დოლარად მამაკაცებს გოგონას გვერდით ძილს სთავაზობდნენ, თუმცა, ყოველგვარი ინტიმური კონტაქტის გარეშე.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

4	9	5	3	8	2	1	7	6
8	3	7	1	6	5	9	4	2
6	2	1	4	9	7	3	8	5
3	7	6	5	4	1	2	9	8
5	1	2	9	3	8	7	6	4
9	8	4	7	2	6	5	3	1
2	4	3	8	5	9	6	1	7
7	6	9	2	1	4	8	5	3
1	5	8	6	7	3	4	2	9

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

6	3	5	9	8	4	2	1	7
4	2	1	5	3	7	9	8	6
9	7	8	2	1	6	5	4	3
5	6	7	4	2	3	1	9	8
3	9	4	1	6	8	7	5	2
8	1	2	7	9	5	3	6	4
7	4	9	8	5	2	6	3	1
2	5	3	6	4	1	8	7	9
1	8	6	3	7	9	4	2	5

ᲠᲗᲣᲚᲘ

1	3	7	2	9	6	4	8	5
8	2	5	7	1	4	3	9	6
4	6	9	8	3	5	2	1	7
7	5	2	6	4	1	9	3	8
3	1	6	9	8	7	5	4	2
9	4	8	3	5	2	7	6	1
6	9	1	5	2	3	8	7	4
5	8	4	1	7	9	6	2	3
2	7	3	4	6	8	1	5	9

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

5	1	3	2	4	9	6	8	7
8	4	9	1	7	6	3	5	2
6	7	2	3	8	5	4	1	9
3	2	8	4	1	7	9	6	5
1	9	6	5	3	2	8	7	4
7	5	4	9	6	8	2	3	1
2	6	1	8	5	4	7	9	3
9	3	7	6	2	1	5	4	8
4	8	5	7	9	3	1	2	6

მე-12 გვერდი: 1. ჰექტორი; 2. ბუდიზმი; 3. ჰავანა; 4. ქაშანური; 5. ოლიფა; 6. ბოკა; 7. ბედუინი; 8. დემეტრე; 9. ზვარი; 10. გვიშტიბი; 11. უზანგი; 12. ფონ; 13. ადამიანი; 14. ნამგალი; 15. რუდიმენტი; 16. გრანტი; 17. ნუნჩაკუ; 18. ინტრიგა; 19. აზუა; 20. „ჩაკრულო“; 21. ურანი; 22. აპისი; 23. არკა; 24. ფიცი; 25. გიაური; 26. აკუნინი; 27. პასტელი; 28. რინგი; 29. ლირიკა; 30. აფოცი; 31. ფუტკარი; 32. ცელიბატი; 33. ადმეტი; 34. დიაოხი; 35. ერინ; 36. ტანდემი; 37. მარტი; 38. უტილი; 39. სალიერი; 40. ლაიმი; 41. ტოლმა; 42. ავი; 43. ზმნა; 44. არზა; 45. პოპური; 46. კალია; 47. ტაბლა; 48. მანტო; 49. პინა; 50. სირი; 51. „ავეო“; 52. იანი; 53. სიგარა; 54. ანაპა’ 55. ნიკე; 56. სესილია; 57. ეხი; 58. აბო; 59. ასა; 60. პი; 61. ლიტრი; 62. იხვი.

„ქამელეონი“ ჯინსი შექმნეს



კანადურმა ბრენდმა Naked&Famous ჯინსი გამოუშვა, რომელიც სხეულის ტემპერატურის მიხედვით, ფერს იცვლის. თუ ადამიანს შესცივდა და გაიყინა, ჯინსები ლურჯი ფერისაა, ხოლო როცა ის გათბება და სხეულის ტემპერატურა აიწევს, ისინი თეთრი ფერი ხდება. ეფექტი თერმოქრომული საღებავის მეშვეობით მიიღწევა, რომლის შემადგენლობაშიც შედის მოლეკულები და სწორედ ისინი იცვლის ფერს ტემპერატურის ცვლილებისას. ჯინსები უკვე გაყიდვაშია და მათი შეძენა 240 დოლარად არის შესაძლებელი. კანადური ფირმა Naked&Famous სულ რამდენიმე წელია, რაც ბაზარზე გამოვიდა, თუმცა, კლიენტებს თავს ორიგინალური ნაწარმით ამახსოვრებენ. ცოტა ხნის წინ მომხმარებელს შესთავაზეს ჯინსები, რომელსაც ჟოლოს კანფეტების სურნელი ჰქონდა. ასევე სიბნელეში მანათობელი შარვალი და კიდევ ისეთი მძიმე, სქელი ჯინსი, რომ ვერტიკალურ მდგომარეობაში დოგმა შეუძლია.

ᲕᲔᲠᲡᲘᲐ

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
�პᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ: ნინო ლურსმანაშვილი
ᲛᲔᲓᲘᲐᲯᲒᲣᲤᲘ: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
ᲡᲢᲘᲚᲘᲡᲢᲘ – ნინო ებანოიძე
ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲔᲠᲘ – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.

„ვეგა სტარტაპ ლაბში“ გამარჯვებული პროექტების კაპიტალის დაფინანსების პროცესი მიმდინარეობს

„საქართველოს ბანკის“ მიერ დაარსებული დამწყები ბიზნესის საინვესტიციო პროგრამის — „ვეგა სტარტაპ ლაბის“ (VEGA) მიერ გამოცხადებულ პირველ კონკურსში გამარჯვებული იდეებიდან კომერციულად საინტერესო პროექტების შეფასება და კაპიტალის დაფინანსების ეტაპი მიმდინარეობს. VEGA-ში მონაწილე გუნდებმა გაიარეს აქსელერაციის პროცესი, რაც მონაწილეებისთვის „სტარტაპის“ გამართვისთვის უნიკალური გარემოს შექმნასთან ერთად გულისხმობდა ტრენინგებსა და მენტორინგს. პროექტში მონაწილე „სტარტაპელებისთვის“ ტრენინგები ჩატარდა „საქართველოს ბანკის უნივერსიტეტის“ ბაზაზე, ხოლო მონიტორინგს ახორციელებდნენ „საქართველოს ბანკის“ წამყვანი სპეციალისტები.

თავის დროზე, „საქართველოს ბანკმა“ დამწყები ბიზნესის საინვესტიციო პროგრამის განხორციელება, დამწყები ბიზნესის დასახმარებლად გადაწყვიტა. ამ მიზნით VEGA, საკუთარი ბიზნესის წარმოების მსურველთათვის საჭირო განათლებისა და საწყისი კაპიტალის მიღებას უზრუნველყოფს. VEGA-ს მიერ შერჩეული პროექტების შესახებ დეტალურ ინფორმაციას „ვეგას“ მმართველი და პარტნიორი, ვასილ რევიშვილი გვაწვდის:

— ბატონო ვასილ, „ვეგას“ პირველ კონკურსში რამდენმა პროექტმა გაიმარჯვა?

— „ვეგას“ შექმნის მიზანი საქართველოში სტარტაპების ხელშეწყობაა — მათ უნდა დავეხმაროთ ბიზნესის წარმოების შესწავლაში. სტანდარტულ კი არა, სტარტაპებთან დაკავშირებულ სპეციფიკურ ბიზნესწარმოებას ვგულისხმობ. მნიშვნელოვანია მეორე ეტაპი, როცა სტარტაპი ზრდად კომპანიად იქცევა და პოტენციურად მოიზიდავს კაპიტალს. დღეს, პირველი კონკურსის შედეგად, უკვე გამოვლენილი გვყავს 11 გამარჯვებული პროექტი. არჩევანი 50-მდე იდეა/ბიზნესპროექტიდან სწორედ მათზე შევაჩერეთ. 11 პროექტიდან 2, იანვარში შემოგვიერთდება. დანარჩენი 9 კი, თითქმის მისულია დაფინანსების ეტაპამდე. დაქირავებული გვყავს ისრაელიდან ექსპერტი, რომელიც გვეხმარება ჩვენი პროექტების ღირებულების შეფასებაში. შეფასებისა და სწორად სტრუქტურირების პროცესს, სავარაუდოდ, იანვარში დავასრულებთ და მაშინვე დაიწყება მეორე ეტაპი, რომელსაც შინაურულად „ზრდის ეტაპს“ ვეძახით — კომპანიები, აქტიური მარკეტინგის თუ სხვა მეთოდების საშუალებით, გაზრდიან მომხმარებლის რაოდენობას, შემოსავალს... და შესაბამისად მზად იქნებიან მეორე ეტაპის ინვესტიციების მოსაზიდად. „ვეგა სტარტ ლაბი“ მათ ამაშიც დაეხმარება.

— უმეტესად, რა შინაარსისაა გამარჯვებული პროექტები?

— VEGA-ს მიერ შერჩეული 11-ვე პროექტი/იდეა საინფორმაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებებია, მიუხედავად იმისა, რომ არსად გაგვიცხადებია, მხოლოდ ITproeqtebs ვღებულობთო. უბრალოდ, სტატისტიკა გვაჩვენებს, რომ უფრო მაღალი ალბათობით, სწორედ IT პროექტები აკმაყოფილებენ სასურველ კრიტერიუმებს. პირველ კონკურსში გამარჯვებული პროექტებია: 1. სწავლების ახალ, ინოვაციურ ტექნოლოგიაზე დაფუძნებული უცხო ენების შემსწავლელი ონლაინპლატფორმის შექმნა; 2. დასაქმების ონლაინ პლატფორმის შექმნა, რომლის მიზანია, საქართველოს მასშტაბით ხელი შეუწყოს ნიჭიერ და კრეატიულ მომხმარებელს საკუთარი შესაძლებლობის რეალიზაციაში, ხოლო დამსაქმებელს ხელმისაწვდომი ადამიანური რესურსების მოძებნაში ინტერნეტის საშუალებით; 3. ლიცენზირებული აუდიო-ვიდეოკონტენტის საერთაშორისო ონლაინბაზის შექმნა; 4. Cloud ტექნოლოგიაზე დაფუძნებული EBR (კომპანიის რესურსების მართვის Enterprise Resource Planning) სისტემა სწრაფი გადაწყვეტილებების მიღებისთვის მორგებული მობილური მოდულით; 5. სტატუს ბარათი, რომელიც მის მომხმარებელს შესაძლებლობას მისცემს, ყოველდღიური დანახარჯი აქციოს ქველმოქმედებად და, იმავდროულად, თავად მიიღოს სარგებელი; 6. პორტალის შექმნა, რომლის მეშვეობითაც უცხოეთში სწავლის მსურველები სრულიად უფასოდ შეძლებენ მიიღონ ინფორმაცია მსოფლიოს ყველა წამყვან უნივერსიტეტსა და სასწავლო პროგრამებზე; 7. ფოტორატორი — ეს არის თვითმომსახურების აპარატი, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მომხმარებელს დაბეჭდოს ფოტო საკუთარი „ინსტაგრამიდან“, ასევე ბლუთუსის ან აპარატში ჩამონტაჟებული კამერის მეშვეობით; 8. შეიქმნა ონლაინპლატფორმა კომპანიებისთვის, რათა დოკუმენტების ონლაინრეჟიმში ორგანიზება და ყოველდღიურად საჭირო შაბლონების მართვა გამარტივდეს; 9. მსოფლიო მასშტაბით საფეხბურთო მატჩებიდან გოლების სტრიმინგისა და ორგანიზების მობილური აპლიკაციის შექმნა; 10. მიზნებისა და ინსპირაციების მართვის აპლიკაცია, სოციალური ქსელი; 11. კომპიუტერული გეიმინგის აპლიკაციების დეველოპერული სტუდიის შექმნა.

— პროექტები რა კრიტერიუმით შეარჩიეთ და თუ გაქვთ დაწესებული, ფინანსურად რა მასშტაბის პროექტი უნდა შემოგთავაზოთ?

— VEGA-მ ჩამოთვლილი საინვესტიციო პროექტის მონაწილეები, ძირითადად, 2 კრიტერიუმის მიხედვით შეარჩია: იდეის ტექნიკურად განხორციელების შესაძლებლობა გონივრულ ვადებში და იდეის კომერციული სიცოცხლისუნარიანობა. ჩვენ ვესწრებით ყველა იმ ღონისძიებას, რომელიც ეწყობა მსგავსი პროექტებისთვის. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენი პროექტები, ყველაზე საინტერესოა და სადაც მათ მიიღეს მონაწილეობა, ყველგან გაიმარჯვეს. ჩვენ არ გვაქვს დაწესებული მაქსიმალური ზღვარი, თუმცა, ის, რა თქმა უნდა, ყოველთვის არსებობს. დაფინანსების მოცულობა დამოკიდებული იქნება იმაზე, რა ღირებულება აქვს პროექტს, რამდენადაა შეფასებული და რამდენი ფული სჭირდება პროექტს, დასახული მიზნის მისაღწევად. დაახლოებით, სქემა ასეთია: თუ პროექტი ღირს მილიონი ლარი, მომავალში მისი პოტენციური შემოსავლების გათვალისწინებით, თუ მას საწყის ეტაპზე სჭირდება 100 ათასი ლარი, ვაძლევთ ამ თანხას და ვიღებთ 10%-იან წილს კომპანიაში. სასიამოვნოა, რომ იდეები და ბიზნესპროექტები ჩვენთან სისტემატურად შემოდის. პროექტების გადასინჯვა მუდმივი პროცესია. ჩვენი კონკურსებისა და ზოგადად, „ვეგა სტარტაპ ლაბის“ შესახებ ინფორმაცია, შეგიძლიათ იხილოთ VEGA-ს ვებგვერდზე — www.vegalab.ge.

ნინო ლურსმანაშვილი

1. ძილში ნანახი „ფილმი“
2. აგამემნონის ასული
3. სპილოს წინაპარი
4. ჰოლივუდის ვარსკვლავი მიკი ...
5. სარძევე ჯირკვლის ანთება
6. ეკლესიის დამოუკიდებლობა
7. ტყავის ჭურჭელი ღვინისათვის
8. ყველაზე მაღლა მდებარე ტბა
9. კლდის თხა
10. ინდონეზიის კუნძული
11. ვაზის დაავადება, ნაცარი
12. ყოფილი გერმანელი ფეხბურთელი
13. ადამიანის ქცევის წესები საზოგადოებ.
14. მექსიკის უმაღლესი მწვერვალი
15. ესკიმოსთა ქურთუკი
16. ფუტკრის სახლი
17. კატის ნაშიერი
18. სამკორპუსიანი სატვირთო გემი
19. ამერიკელი მომღერალი ქალი
20. მუხის ნაყოფი
21. კლოუნის ნომერი ცირკში
22. უკრაინის დედაქალაქი
23. შუადღის პერის ჭამა
24. იგივე ეპოქა
25. წუთის 1/60
26. ინდოეთის საკურორტო შტატი
27. ხელოვნების გამორჩენილი მოღვაწე
28. ფასიანი ქალაღლდის სახეობა
29. ვაზის ერთწლიანი რქა
30. ჭავ-ჭავაძეების მამული კახეთში
31. ძაღლის ჯიში
32. რელიგიური მასწავლებელი ტიბეტურ ბუდიზმში
33. ხორციანი კორკოტი
34. მაუგლის მეგობარი პითონი
35. ცხვირის ხვრელი
36. მაკედონიის რესპუბლ. დედაქალაქი
37. ძვირფასი ინფორმაციის მქონე ტყვე
38. ინდური კობრა
39. ბგერის გრაფიკული ნიშანი
40. აღმოსავლური დილის ჰანგი
41. ამერიკ. მსახიობი უილ ...
42. სცენის გასანათებელი მოწყობილ.
43. ზრდილობიანი დასტურის სიტყვა
44. სახოტბო ლექსი
45. გარეული ფრინველი
46. მზის ამოსვლა
47. დიდი ცხოველი ფეხი
48. მდინარე აფხაზეთში, საქართველო-რუსეთის საზღვარზე
49. ადამიანის არსების ღვთაებრივი მხარე
50. ციფრობრივი ნიშანი, რომელიც რიცხვს ზრდის ათვერ
51. ყატარის დედაქალაქი
52. სუსტი ქარი
53. მოგრძო გორა
54. მუსიკ. გამის VII ნოტი
55. სირიის უძველესი ქალაქი
56. მათემატიკური მუდმივა
57. „ოუენტუსის“ განელი თავდამსხ.
58. ათის კვადრატი
59. ინგლ. ლუდი
60. ალაების მთი-ელთა სიმღერა, შესრულებული ფალცეტით
61. ახლომხედველობა